პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 241 (19682) კვირა, 19 ოქტომბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავს!

2. დიდება დიდ ოქტომბერს!

3. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ რევოლუციურ მოძღვრებას!

4. დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა ადამიანების ყველა თაობის რევოლუციური მემკვიდრეობითობა — ოქტომბრის იდეებისა და საქმის უძლეველობის საწინდარი!

5. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას!

6. გაუმარჯოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევ კავშირს!

7. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ ძმურ მეგობრობას!

8. დაე მტკიცდებოდეს პარტიისა და ხალხის ერთიანობა!

9. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! შეუპოვარი, კეთილსინდისიერი შრომით განვახორციელოთ სკკპ XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი!

10. საბჭოეთის მოქალაქენო! გარდაქმნა ყველასა და თითოეულის საქმეა! აქტიურად დაამკვიდრეთ რევოლუციური გარდაქმნები ეკონომიკაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში!

11. კომუნისტებო! შრომისმოყვარეობისა და დიდი ზნეობის პირადი მაგალითით დარაზმეთ მშრომელები სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად!

12. კომკავშირელებო და ახალგაზრდობავ! გაბედულად, აქტიურად, ნოვატორულად ჩაებით დაჩქარების ამოცანათა გადაწყვეტაში!

სრულიად საკავშირო ალკკ XX ყრილობას — ღირსეული შეხვედრა!

13. პატივი და დიდება საბჭოთა ქალს — მგზნებარე პატრიოტს, დაუცხრომელ მშრომელს, მზრუნველ დედას!

14. პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებო! კვლავაც იყავით კომუნიზმის საქმისათვის აქტიურ მებრძოლთა მწყობრში!

15. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განავითარეთ სოციალისტური შეჯიბრება! დაჩქარეთ წინსვლის ტემპი, არ დაუშვათ თვითდამშვიდება და გულარხეინობა!

შევასრულოთ 1986 წლის საგეგმო დავალებანი! უზრუნველვყოთ მეთორმეტე ხუთწლედის კარგი სტარტი!

16. ქვეყნის მშრომელებო! ბეჯითად გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება! გამოიყენეთ ამისათვის ყველა რეზერვი თითოეულ კოლექტივში, ყოველ სამუშაო ადგილას!

17. დიდება წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს, რომლებიც თავდადებით მუშაობენ დაჩქარების რიტმით, გაბედულად ამსხვრევენ მოძველებულ ნორმებსა და ჩვეულებს!

18. სახალხო მეურნეობის მშრომელებო! იბრძოლეთ პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის, საბჭოთა მარკის ღირსებისათვის! საიმედოდ გადაუკეტეთ გზა ტექნიკურ ჩამორჩენილობას, წუნს!

19. მშრომელებო! იყავით ყაირათიანი, შეურიგებელნი მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლაში, განახორციელეთ მკაცრი მომჭირნეობის რეჟიმი!

20. სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მშრომელებო! უფრო ფართოდ დანერგეთ სამეურნეო ანგარიში და კოლექტიური იჯარა. მეტი დამოუკიდებლობა, ინიციატივა, პასუხისმგებლობა გამოიჩინეთ შრომის საბოლოო შედეგებისათვის!

21. მეცნიერებო, ინჟინრებო, კონსტრუქტორებო, გამომგონებლებო! განავითარეთ საბჭოთა მეცნიერება, უფრო გაბედულად მოჰკიდეთ ხელი პრინციპულად ახალი, მსოფლიოში საუკეთესო ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებასა და ათვისებას!

22. მანქანათმშენებლებო! თქვენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მებრძოლთა პირველ ეშელონში ხართ! თქვენი ვალია შექმნათ ახალი, დიდმწარმოებლური, საიმედო მანქანები და მოწყობილობა!

23. მრეწველობის მუშაკებო! აქტიურად დანერგეთ ახალი, პროგრესული ტექნიკა, მიაღწიეთ მის ეფექტიან გამოყენებას!

24. ნავთობის, გაზის, ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის მშრომელებო! საიმედოდ უზრუნველყავით საათბობზე, ნედლეულსა და მასალებზე ეკონომიკის მოთხოვნილებანი!

25. ქიმიური ინდუსტრიის მუშაკებო! მტკიცედ აამაღლეთ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის დონე! გაადაჩქარეთ პროგრესული სახეობათა პროდუქციის წარმოება!

26. საბჭოთა მშენებლებო! ხარისხოვნად და ვადაზე ააშენეთ საწარმოო და სოციალური სფეროების ობიექტები!

გაადიდეთ სამშენებლო კომპლექსის ეფექტიანობა!

27. ტრანსპორტის მუშაკებო! უზრუნველყავით ქვეყნის სატრანსპორტო სისტემის ზუსტი მუშაობა! შეუფერებლად გადაზიდეთ სახალხო-სამეურნეო ტვირთი!

28. აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელებო! გაუმჯობესეთ სურსათით ქვეყნის უზრუნველყოფა! ფართოდ გამოიყენეთ ინტენსიური ტექნოლოგიები — მინდვრებისა და ფერმების პროდუქტიულობის გადიდების საიმედო საშუალება!

29. სახალხო განათლების მუშაკებო! სრულყავით მოზარდი თაობის სწავლება და კომუნისტური აღზრდა!

30. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებო! თქვენ მინდობილი გაქვთ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა! გააუმჯობესეთ ხარისხი და გააძლიერეთ პასუხისმგებლობა მუშაობაში! უფრო აქტიურად დაამკვიდრეთ ჯანსაღი ცხოვრების წესი!

31. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო სამსახურისა და კომუნალური მეურნეობის მუშაკებო!

თქვენს მუშაობაზე დამოკიდებულია ადამიანთა გუნება-განწყობილება! ენერგიულად განავითარეთ თანამედროვე სახეობათა მომსახურება! აამაღლეთ მოსახლეობის მომსახურების კულტურა!

32. საბჭოეთის მოქალაქენო! იყავით შეურიგებელნი იმათ მიმართ, ვინც ეკონომიკურ და მორალურ ზიანს აყენებს საზოგადოებას, არღვევს საბჭოთა კანონებს! მტკიცედ იბრძოლეთ დოყლაპიობის, ლოთობის, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ!

33. მართვის მუშაკებო! უზრუნველყავით შრომითი პროცესის ზუსტი ორგანიზაცია! გააუმჯობესეთ მუშაობის სტილი და მეთოდები, ამოძირკვეთ ბიუროკრატიზმი, უწყებრივობა, კუთხურობა!

34. სსრ კავშირის მოქალაქენო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ ჩვენი საზოგადოების შემდგომ დემოკრატიზაციაში! იყავით ქვეყნის ბატონ-პატრონნი!

35. გაუმარჯოს სახალხო დეპუტატთა საბჭოებს — სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის მთავარ რგოლს!

36. საბჭოთა პროფკავშირებო! განავითარეთ მასების შრომითი აქტიურობა, ინიციატივა, შემოქმედება, მიაღწიეთ მათი შრომის, ყოფის, დასვენების პირობების გაუმჯობესებას!

37. საბჭოთა კულტურის მოღვაწენო! უფრო სრულად დაეკმაყოფილეთ მშრომელთა მზარდი სულიერი მოთხოვნილებანი! შექმენით სოციალისტური ეპოქის ღირსი ნაწარმოებები!

38. საბჭოთა მეომრებო! ფხიზლად და საიმედოდ დაიცავით ჩვენი ხალხის მშვიდობიანი, აღმშენებლობითი შრომა, დიდი ოქტომბრის ისტორიული მონაპოვრები.

დიდება სსრ კავშირის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

39. საბჭოთის მშრომელებო! ხუთწლედის შრომითს ფრონტზე დამკვრელური მუშაობით განვამტკიცოთ სოციალიზმისა და მშვიდობის საქმე!

40. ძმური სალამი სოციალისტური ქვეყნების ხალხებს!

დაე მტკიცდებოდეს მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების მეგობრობა და შეკავშირება!

41. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გაუმარჯოს პროლეტარულ, სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს!

42. ძმური სალამი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს!

დაე მტკიცდებოდეს მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ყველა ქვეყნის კომუნისტთა კლასობრივი სოლიდარობა და თანამშრომლობა!

43. მსოფლიოს ხალხებო! გავაძლიეროთ ბრძოლა საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის, სახელმწიფოთა კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის!

44. ყველა ქვეყნის ხალხებო! მტკიცედ გაილაშქრეთ მომაკვდინებელი იარაღის გადიდების წინააღმდეგ, იბრძოლეთ ბირთვული გამოცდების შეწყვეტისათვის, ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციისათვის!

არ დავუშვათ კოსმოსის მილიტარიზაცია!

45. მსოფლიოს ხალხებო! აქტიურად იბრძოლეთ ძალმომრეობის, ძარცვის, ტერორისტული უაჩალობის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ!

მოითხოვეთ ცენტრალურ ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში, ახლო და შუა აღმოსავლეთში კონფლიქტური სიტუაციების პოლიტიკური მოწესრიგება!

46. ევროპის ხალხებო! იბრძოლეთ კონტინენტზე მტკიცე მშვიდობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის, დაძაბულობის შენელებისა და უშიშროებისათვის!

47. აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების ხალხებო! გავაერთიანოთ ძალისხმევა რეგიონში საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობიანი თანამოქმედების უზრუნველყოფისათვის!

48. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების, ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკას!

49. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — დიდი ოქტომბრის სამშობლოს!

50. სკკპ XXVII ყრილობის ლენინური კურსით—წინ, კომუნისტური აღმშენებლობისა და მშვიდობის გზით!

ეპოქის შესაფერი ბედი

ფთამომავლობის მადლიერების გამოხატულება გახდა გ. კ. ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი, რომელიც მგზნებარე რევოლუციონერ-ლენინელის საპატივცემულოდ გაიმართა.

სურათზე: ახალი დოკუმენტები, იშვიათი ფოტოსურათები, მემორიალური ექსპონატები შეემატა გ. კ. ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზებს. სოფელ ღორეშის საშუალო სკოლის სახლეთო ნაწილის გამგე თინა კურტანიძე მოსწავლეებს აცნობს განახლებულ ექსპოზიციას.

ცხოვრება-გმირობად, ცხოვრება-ჩირაღდნად შეეფინა სერგო ორჯონიკიძის ბიოგრაფიაში სერგო ორჯონიკიძის ბედი. განსასაზღვრავს რა პარტიის პატიოსნებას და სინდისს, მისი იდეალების ერთგულებას, მან ჩაუქრობელ კოცონად აანთო მისი საყოველთაო-სახალხო ხსოვნა. პირტიისა და ქვეყნის ისტორიაში ამხანაგ სერგოს როლი ლაკონიურად არის გამოთქმული ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სიტყვებში: „პირადად ვეკუთვნი მისი მეგობრების რიცხვს...“. და ღრმად სიმბოლურია, რომ ბედმა ეს სახელები დააკავშირა აზრებისა და საქმეების, ზნეობრივი მაგალითის მემკვიდრეობით, მშრომელი ადამიანების ბედნიერი მომავლისადმი ერთიანი მისწრაფებით. შემთხვევითი როდია, რომ საუბილეო ზეიმი რევოლუციის რაინდის სამშობლოში დაიწყო იმით, რომ გვირგვინებით შეამკეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ძეგლი რაიონის ცენტრალურ მოედანზე, რომელიც სერგო ორჯონიკიძის სახელს ატარებს.

დღესასწაულში მონაწილეობისათვის აქ ჩამოვიდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ვ. მარგველიძე, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები. უდრეკი ბოლშევიკ-ლენინელისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გამოსახატავად ჩამოვიდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის ფედერაციის, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, იაკუტიის ავტონომიური რესპუბლიკების დელეგაციები.

(დასასრული მე-8 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი აწყობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის სერგო ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სესიას.

სესია გაიმართება 1986 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის საქტო დარბაზში (რუსთაველის პრ. 29).

დასაწყისი დღის 2 საათზე.

წლის ფინიშს — დაჩქარებული ტემპი

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის

ცხრა თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობის მოკლე შინაარსი

1986 წლის იანვარ-სექტემბრის შედეგები მოწმობს, რომ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ქვეყანაში გარდაქმნის პროცესი სულ უფრო მტკიცედ იკრებს ძალას, მიმდინარეობს პოზიტიური ძვრები ეკონომიკაში, სახალხო მეურნეობის ბევრი დარგის განვითარების მაჩვენებლები აღემატება გასული წლის შესაბამის ტემპსა და მიმდინარე წლის საგეგმო დავალებებს.

სრულდება დავალებანი მეტი წილი საერთო-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

წარმოებული **ეროვნული შემოსავალი** 1985 წლის ცხრა თვესთან შედარებით გაიზარდა 18 მილიარდი მანეთით, ანუ 4,3 პროცენტით.

მრეწველობის პროდუქცია ამ პერიოდში გაიზარდა 31 მილიარდი მანეთით, ანუ 5,2 პროცენტით წლიური გეგმის 4,3 პროცენტთან შედარებით. გაუმჯობესდა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმის, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება.

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე **ძირითადი ფონდების** ამოქმედება გაიზარდა 8,5 მილიარდი მანეთით, ანუ 12 პროცენტით.

შემუშავდა და ხორციელდება დიდი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, რესურსების დაზოგვა, მრეწველობაში, აგროსამრეწველო და სამშენებლო კომპლექსებში, ვაჭრობაში, ტრანსპორტზე, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში მართვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა.

სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში გაძლიერდა მუშაობა მატერიალური რესურსების მომჭირნეობისათვის. შესრულებულია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, ფერადი ლითონების და მილების ნაგლინის ხარჯვის ნორმების შემცირების დაწესებული დავალებანი. დაზოგილია 15 მილიონ ტონამდე პირობითი სათბობი, 24 ათას ტონაზე მეტი ფერადი ლითონების ნაგლინი და 50 ათას ტონაზე მეტი მილები. გაიზარდა სახალხო მეურნეობაში მეორეული რესურსების მოქცევა. ამავე დროს ცალკეულმა სამინისტროებმა და უწყებებმა ვერ შეასრულეს მატერიალური რესურსების დაზოგვის, მეორეული ნედლეულის გამოყენების დავალებანი.

მთავრდება მზადება ზამთრისათვის. გაიზარდა სათბობის მარაგი სახალხო მეურნეობის უზრუნველსაყოფად.

გაძლიერდა **შრომის დისციპლინა.** მნიშვნელოვნად შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები. შეინიშნება ძირითადი საქმიანობისაგან მშრომელთა უსაფუძვლო განრიდების შემცირება. მაგრამ მისი ოდენობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია.

ვრცელდებოდა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმები, რომელთა მიზანია მეურნეობრიობის საბოლოო შედეგების გაუმჯობესება. ხორციელდებოდა სამუშაო ადგილების ატესტაცია.

ამავე დროს სახალხო მეურნეობის გადასვლა ინტენსიფიკაციის რელსებზე წარმოებს ნელა, ბევრი შრომითი კოლექტივი ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული გარდაქმნაში. თუმცა მოლიანად ცხრა თვის გეგმა შესრულდა, მაგრამ მრეწველობამ ვერ გაანაღდა სექტემბრის დავალება. კვარტალის დამლევს სერიოზული ჩამორჩენაა ნომენკლატურის, ხელშეკრულებებით პროდუქციის მიწოდების გეგმის შესრულებაში. საჭირო ტემპით არ წარმოებს მუშაობა ნაწარმის ტექნიკური დონის ამაღლების, ხარისხის გაუმჯობესებისა და საიმედოობის გადიდებისათვის. წლიური გეგმის დავალებებზე უფრო ნელი იყო წარმოების მატების ტემპი სსრ კავშირის მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის, ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის, ნავთობის მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებში, სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტში.

დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა ბევრი საწარმოო სამძღვავრის ამოქმედებასთან დაკავშირებით. არ შესრულებულა ბინებისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ცხრა თვის გეგმა.

საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 95 მილიარდი მანეთი. ვითარდება საგარეო ვაჭრობა სოციალისტურ-ქვეყნებთან. მიმდინარეობს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საგარეო-ეკონომიკური თანამშრომლობის, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაღრმავების, საწარმოებთან პირდაპირი კავშირის განმტკიცების ახალი ფორმების ჩამოყალიბების პროცესი.

I. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

სახალხო მეურნეობაში დაიწყო ხუთწლიანი გეგმით დასახული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების რეალიზაცია, რომელთა მიზანია ახალ თაობათა ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიების, დარგთშორისი გამოყენების საკონსტრუქციო მასალების შექმნა და ათვისება.

მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ განახლებას მოხმარდა 24 მილიარდ მანეთზე მეტი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება, ანუ 25 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის ცხრა თვეში.

მიმდინარეობს პროდუქციის ტექნიკური დონის, მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებთან მისი შესაბამისობის შეფასება.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დარგებში გაფართოვდა რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენების მასშტაბი.

გაიზარდა ქვანახშირის მოპოვება ღია წესით და ნავთობისა — ფენებზე ზემოქმედების ახალი მეთოდების გამოყენებით. მაგრამ ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია მომყოლი გაზის, აგრეთვე ნავთობის დანაკარგები მისი გადამუშავების არასაკმარისი სიღრმის შედეგად.

მეტალურგიული კომპლექსის საწარმოებში ათვის ეწყო ახალთხელფურცლოვანი ელექტროტექნიკური და კოროზიამედეგი საარმატურე ფოლადის წარმოება; გაიზარდა ლუმელგარეშე ვაკუუმირების გამამტკიცებელი თერმული დამუშავების ფოლადისაგან, მცირელეგირებული ფოლადისაგან ნაგლინის გამოშვება.

ამავე დროს არ შესრულებულა ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის, რკინის ფხვნილის, ზემტკიცე საბურღი მილების წარმოების დავალებანი.

მანქანათმშენებლობის კომპლექსში გაფართოვდა ნაშტამპის წარმოებისას პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების გამოყენება, ინერგებოდა დიდფენტიანი მოწყობილობა მასალების პლაზმური დამუშავებისათვის.

ათვისებულია გამოთვლითი ტექნიკის ახალი საშუალებების, ზზის ენერგიის ხარჯზე ელექტროენერგიის წარმოებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის, ნიადაგში მინერალური სასუქებისა და კირის შესატანი ფართო მოდების მანქანების გამოშვება.

უპირატესი ტემპით იზრდებოდა რიცხვული პროგრამაფილი მართვის ლითონსაჭრელი ჩარხების, დამმუშავებელი ცენტრების როტორული და როტორულ-კონვეიერული ხაზების სამრეწველო რობოტების, მოქნილი საწარმოო მოდულების, გადადებული მონტაჟუნარიანობის მქონე საექსპლოატაციო და ღრმა საზვერი ბურღვის დანადგარების, ახალი თაობის ეკონომიური ტუმბოების წარმოება.

ამავე დროს არ არის უზრუნველყოფილი ცალკეულ სახეობათა ახალი დიდფენტიანი პროდუქციის გამოშვების დაგეგმილი მოცულობანი.

(დასასრული მე-2 გვ.).

მართლწესრიგისათვის ბრძოლას — შეტევითობა, უკომპრომისობა

იტანჯება ადამიანი — ასეთია ყოველი კანონსაწინააღმდეგო ქმედების საბოლოო შედეგი. ამიტომ, კანონის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის არავითარი შუალედური დადებითი შედეგები არ უნდა ვცნოთ საკმარისად. ეს ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, რომელმაც განიხილა 1986 წლის 9 თვის განმავლობაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები და სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამართალდაცვითი ორგანოების ამოცანები.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

აღინიშნა, რომ ბოლო დროს ყველგან და ყველაფერში კანონიერების, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრების შესახებ პარტიის მოთხოვნათა რეალიზაციის ღონისძიებათა განხორციელების მეოხებით მიღწეულია გარკვეული პოზიტიური ძვრები.

რესპუბლიკაში შემცირდა მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობათა რიცხვი, უფრო გაიწმინდა ატმოსფერო ქუჩებში და საზოგადოებრივ ადგილებში. ოპერატიული ვითარება არ გართულებულა საკურორტო-ტურისტული სეზონის დროს. უფრო მტკიცე ბარიერი აღიმართა ანგარებითი და სამეურნეო სამართალდარღვევის წინააღმდეგ.

ამავე დროს, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის გაწეულ მუშაობას, დანაშაულობათა პროფილაქტიკას ყველა რაიონში როდი ახასიათებს სათანადო შეტევითობა და აქტიურობა. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება ახალციხის, წულუკიძის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავის, წალკისა და ზოგიერთ სხვა რაიონს. განსაკუთრებით შეშაფოთებელია, რომ ადგილობრივი შინაგან საქმეთა ორგანოების ცალკეული ხელმძღვანელები, ნაცვლად იმისა, რომ გააქტიურონ დანაშაულობათა გახსნისათვის საქმიანობა, ზოგჯერ უხეშად არღვევენ სააღრიცხვო-სარეგისტრაციო დისციპლინას. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწყობილი შემოწმების შედეგად გამოვლინდა ბევრი აღურიცხავი დანაშაული. ასეთი დარღვევების აღკვეთა ჯერჯერობით არ მოხერხდა. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის პროკურატურის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ტყვარჩელის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომელთა მიმართ, რომლებიც აყალბებენ დანაშაულთა გახსნის მაჩვენებლებს.

შეინიშნება მძიმე დანაშაულობათა, უწინარეს ყოვლისა, განზრახ მკვლელობათა ზრდა ზუგდიდის რაიონში, რაც პროფილაქტიკური მუშაობის დაბალი დონის შედეგია. ვითარება აქ სხვაგვარი იქნებოდა, ესოდენ უბრინციპო რომ არ აღმოჩენილიყო რაიონის პროკურატურა. არც ქობულეთის რაიონშია უკეთ საქმე, სადაც, კერძოდ, გაიზარდა სამართალდარღვევათა რიცხვი არასრულწლოვანთა შორის. აქ სწორედ მოზარდებმა ჩაიდინეს აკრაში რეგისტრირებულ დანაშაულობათა უმრავლესობა. შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი კონცელიძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

ქონებრივ დანაშაულობათა რიცხვის საერთო შემცირების განმაპირობებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი გახდა ის, რომ რესპუბლიკაში გადაჭრით შეუტიეს იმ პირებს, რომლებიც მისდევდნენ ეგრეთ წოდებულ ქურდულ ტრადიციებს. მაგრამ ადგილობრივი სისხლის სამართლის სამსახურს ყველა თანამშრომელი როდი ჩაება აქტიურად ამ ბრძოლაში. კვლავ გაუხსნელია პირადი ქონების ქურდობის ბევრი შემთხვევა და სხვა დანაშაულობანი ქალაქ ზუგდიდში, ზესტაფონის, ახალციხის, მაჭახელის, ლანჩხუთის, კასპის, ქარელის, ჩოხატაურის, აგრეთვე თბილისის ლენინისა და ორჯონიკიძის რაიონებში.

ნაკლოვანებებია ქურდების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციაში. სამწუხაროდ, შინაგან საქმეთა ორგანოებმა ჯერჯერობით ვერ განახორციელეს ვერც ერთი მაღალკვალიფიციური ოპერაცია, რათა ემხილებინათ ისინი, რომელნიც დანაშაულთა ჯგუფებს მოთავეები, დაედგინათ ავტომანქანების, ბინების, აგარაკების შეძენის უკანონო წყაროები. დღეს კი საჭიროა სწორედ ასეთი მიდგომა

(დასასრული მე-2 გვ.).

წლის ფინიშს — დაჩქარებული ტემპი

(დასასრული)

ქიმიურ-სატყეო კომპლექსის საწარმოებმა აითვისეს მასალები და პროდუქტები, რომლებიც გამოიყენება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. მათ შორის ზემტკიცე პოლიამიდიური მონოძაფი სალტეებისა და თევზის მრეწველობისათვის, სამედიცინო პრეპარატების, ვაქცინების, შრატების ფილტრაციის, განსაკუთრებით წმინდა გამხსნელების მისაღები მემბრანები.

500-ზე მეტი დასახელების სამრეწველო პროდუქციას ჩამოერთვა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი.

იზრდება **სახალხო მოხმარების საქონლის** გამოშვება, მაგრამ ბევრი მათგანის ხარისხი ჯერ კიდევ არ შეესაბამება მყიდველთა გაზრდილ მოთხოვნებს. განსაკუთრებით ბევრი პრეტენზია მოდის რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამო.

აგროსამრეწველო კომპლექსში 1987 წლის მოსავლის საშემდგომო კულტურები 29 სექტემბრისათვის ინტენსიური ტექნოლოგიებით დათესილია 13,2 მილიონ ჰექტარ ფართობზე, რაც 79 პროცენტს შეადგენს.

კვების მრეწველობაში ინერგებოდა ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის კომპლექსური მცირნარჩენიან გადამუშავებას.

ამავე დროს მეურნეობებში ბევრი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოვლა-მოყვანისათვის გათვალისწინებული მანქანების საჭირო სისტემის, აგრეთვე კვების მრეწველობაში პროგრესული მოწყობილობის უქონლობა საშუალებას არ გვაძლევს მკვეთრად შევამციროთ პროდუქციის დანაკარგები.

II. მრეწველობა

უპირატესი ტემპით ვითარდება მანქანათმშენებლობა. სტაბილურად მუშაობს ქვანახშირის მრეწველობა, შავი მეტალურგია. ჩამორჩენას ძლევენ ნავთობმომპოვებელ მრეწველობაში. იზრდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის გამოშვება.

მეტ წილ, უწინარესად მეურნეობრიობის ახალ პირობებში მოშუშავე სამინისტროებში შარშინდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაუმჯობესდა მიწოდების, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება.

პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შეასრულა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ და სამრეწველო სამინისტრომ, რადიომრეწველობის სამინისტროს გარდა.

შესრულებულია სამრეწველო პროდუქციის **თვითღირებულების შემცირებისა და მოგების ზრდის** გეგმა.

შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 4,8 პროცენტით, ამ გზით მიღებულია წარმოების მატების 94 პროცენტი. შრომის ნაყოფიერების ზრდა უსწრებდა საშუალო ხელფასის გადიდებას.

ქვეყნის მთელ რიგ ოლქებში დაიწყო მუშაობის ორ-სამცვლიან რეჟიმზე საწარმოთა გადასვლის ორგანიზაციისათვის მუშაობა.

ცხრა თვის გეგმის გადამეტებით მოპოვებულია 11 მილიარდი კუბური მეტრი გაზი, 13 მილიონი ტონა ქვანახშირი, 2,4 მილიონი ტონა რკინის მადანი, გამოდნობილია 1,9 მილიონი ტონა ფოლადი, წარმოებულია 737 ათასი ტონა შავი ლითონების მზა ნაგლინი, 68 ათასი ტონა ფოლადის მილები, 35 მილიონი მანეთის ლითონსაჭრელი ჩარხები, ათასამდე სამრეწველო რობოტი, 248 მილიონი მანეთის ხელსაწყოები, ავტომატიზაციისა და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი, 19 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, 702 ექსკავატორი, 4,4 ათასი ტონა მეცნარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი, 66 ათასი ტონა გოგირდმჟავა, 10 ათასი ტონა ქიმიური ბოჭკო და ძაფი, 344 ათასი სალტე, 105 ათასი ტონა ქაღალდი, 492 ათასი ტონა ცემენტი, 285 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონი.

გადაჭარბებით შესრულდა ბევრი სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალებანი. გეგმის გადამეტებით წარმოებულია 35 მილიონი კვადრატული მეტრი ქსოვილები, 8 მილიონი ცალი ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, 2,2 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი, 7,5 ათასი რადიომიმღები მოწყობილობა, 5,2 ათასი მაცივარი და საყინავი, 121 მილიონი მანეთის ავეჯი და ბევრი სხვა პროდუქცია.

ამავე დროს ნაკლოვანებანი მრეწველობის მუშაობაში ნელა აღმოიფხვრება. საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს დააკლდათ 6,4 მილიარდი მანეთის პროდუქცია ხელშეკრულებებისა და განწესების ნომენკლატურით. სახელშეკრულებო დისციპლინა დაარღვია ყოველმა მესამე საწარმომ. მთლიანად მრეწველობამ პროდუქციის რეალიზაციის გეგმა მიწოდების გათვალისწინებით 98,7 პროცენტით შეასრულა.

არ შესრულებულა ნავთობის მოპოვების, ცვლადი დენის ელექტრომძრავების, ქიმიური მოწყობილობის, მინერალური სასუქების, კაუსტიკური სოდის, სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების, ფერადგამოსახულებიანი ტელევიზორების წარმოების გეგმა.

მრეწველობის მუშაობის საერთო შედეგებზე გავლენა მოახდინა ჩამორჩენამ, რომელიც სექტემბერში მოხდა მანქანათმშენებელი და ქიმიურ-სატყეო კომპლექსების მთელი რიგი დარგების მუშაობაში.

კვლავ არარიტმულად მუშაობენ მთელ რიგ დარგებში და უწინარეს ყოვლისა მანქანათმშენებლობაში. ჩარხმშენებლობის, მძიმე, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის ცალკეულ სახეობათა პროდუქცია თვის უკანასკნელ დღეებში გამოდის თვიური პროგრამის მესამედზე მეტი, რაც იწვევს პროდუქციის ხარისხის შემცირებას, ქმნის სიძნელეებს ტრანსპორტის მუშაობაში.

ბევრ გაერთიანებასა და საწარმოში ეფექტიანად არ იყენებენ ძირითად ფონდებს. მანქანათმშენებლობაში ლითონსამშუშავებელი მოწყობილობა ერთ ცვლაზე ცოტა მეტ ხანს მუშაობს.

მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები ჩამორჩენით ითვისებენ ახლადამოქმედებულ და რეკონსტრუირებულ სიმძლავრეებს, ვერ ასრულებდნენ მატერიალური რესურსების დაზოგვის, თვითღირებულების შემცირების დავალებებს. თითქმის ყოველმა მეხუთე საწარმოო გაერთიანებამ და საწარმომ ვერ შეასრულა გეგმა საფინანსო შედეგების მიხედვით.

III. აგროსამრეწველო კომპლექსი

აგროსამრეწველო კომპლექსში მთავრდება **მოსავლის ასაღება** სამუშაოები, მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება.

5 ოქტომბრისათვის მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურები აღებულია 104,9 მილიონ ჰექტარ ფართობზე, ანუ გამოყოფილი ფართობის 95 პროცენტზე.

მებამბეობის რესპუბლიკები შეუდგნენ ხამი ბამბის კრეფას.

შარშანდელთან შედარებით რამდენადმე გაუმჯობესდა საკვების დამზადება. 5 ოქტომბრისათვის საკვებ ერთეულებზე გადაანგარიშებით დამზადებულია 128,7 მილიონი ტონა, ანუ გეგმის 93 პროცენტი; შარშან ამავე თარიღისათვის დამზადებული იყო 127,8 მილიონი ტონა. ერთ პირობით სულ მსხვილფეხა პირუტყვზე გაანგარიშებით საკვები მომარაგებულია 14,9 ცენტნერი საკვები ერთეული გასული წლის 14,7 ცენტნერთან შედარებით, საკვების დამზადების გეგმას მნიშვნელოვნად ჩამორჩენიან უზბეკეთის სსრ, მოლდავეთის სსრ, როსტოვის, პენზის ოლქების, მარეთის, მორდოვეთის, ყალმუხეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ზღვისპირეთის მხარის მეურნეობები.

უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს 1987 წლის მოსავლის უზრუნველყოფის სამუშაოები. საშემოდგომო კულტურები დათესილია 33,6 მილიონ ჰექტარზე. საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 86 პროცენტით. მზარალად მოიხნა 75,2 მილიონი ჰექტარი, რაც 7,6 მილიონი ჰექტარით მეტია, ვიდრე შარშან.

გაზაზარდა მარცვლეული, განსაკუთრებით თავთუხისა და ღონერი ხორბლის **სახელმწიფო შესყიდვა.** მარცვლეულის მიყიდვის გეგმა შეასრულეს რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ყაზახეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ, თურქმენეთის სსრ, 85 ოლქის (მხარეების, ავტონომიური რესპუბლიკების) კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

სულ ქვეყანაში შესყიდულია 14 მილიონი ტონა კარტოფილი, ეს 2,5 მილიონი ტონით, ანუ 21 პროცენტით მეტია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, ბოსტნეული — 12,9 მილიონი ტონა, რაც 461 ათასი ტონით (ანუ 4 პროცენტით) მეტია, ხილი და კენჭრა — 2,3 მილიონი ტონა, რაც 237 ათასი ტონით, ანუ 12 პროცენტით მეტია.

სახელმწიფოსათვის მემცენარეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

ჯერ კიდევ მცირეა იმ პროდუქციის ხვედრითი წილი, რომელიც შესყიდვის საგეგმო მოცულობის ანგარიშში იყიდება საკოლმეურნეო ბაზრებსა და სამომხმარებლო კოოპერაციაში.

ცხრა თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში **ხორცისა და კვერცხის** წარმოება გაიზარდა 7 პროცენტით, **რძისა** — 5 პროცენტით, პროდუქციის წარმოების მატება ძირითადად მიღწეულია პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის გადიდების გზით. ერთი ძროხის საშუალო წველადობა გაიზარდა 6 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის საშუალო სადღეღამისო წონამატება, შესაბამისად, 3 და 5 პროცენტით, მოქცეულის საშუალო მეკვერცხულობა — 4 პროცენტით. მიღებულია მეტი ნამატი, გაუმჯობესდა სულადობის შენარჩუნება. პირუტყვისა და ფრინველის (ცოცხალი წონა) **სახელმწიფო შესყიდვამ** შეადგინა 14.8 მილიონი ტონა, რძისამ — 58,2 მილიონი ტონა, კვერცხისამ — 41,2 მილიარდი ცალი. გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით მათი მოცულობა გადიდდა შესაბამისად 7,6, 4,5 და 5,6 პროცენტით.

პირუტყვისა და ფრინველის, რძის, კვერცხის შესყიდვის ცხრა თვის გეგმა შეასრულა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ, უზბეკეთის სსრ და ესტონეთის სსრ მეურნეობების გარდა, რომლებმაც ვერ შეასრულეს რძის შესყიდვის გეგმა.

აგროსამრეწველო კომპლექსის **კვების დარგების** მუშაკებმა ძირითადად უზრუნველყვეს სასურსათო პროდუქციის გამოშვების დაგეგმილი მოცულობანი.

მომდინარეობს ლიქიორ-არყისა და ღვინის პროდუქციის წარმოების შემცირება, რომლის გამოშვება გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით 35 პროცენტით შემცირდა.

მტკიცდება **აგროსამრეწველო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.** ტრაქტორების, სატვირთო ავტომობილების, ძირითად სახეობათა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ქიმიური საკვები დანამატების მოწოდების გეგმა შესრულებულია.

სახელმწიფო **კაპიტალურმა დაბანდებამ** იმ დარგების განვითარებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულებას, 29 მილიარდ მანეთს გადააჭარბა.

საკავშირო ტრანსპორტმა ცხრა თვეში ტვირთბრუნვა 3,9 პროცენტით, ტვირთბრუნვა — 5,3 პროცენტით, მგზავრთბრუნვა — 3,9 პროცენტით.

რკინიგზის ტრანსპორტმა ცხრა თვის განმავლობაში შეასრულა ყველა ძირითადი ტვირთის გადაზიდვის გეგმა, ხე-ტყისა და ცეცხლგამძლე მასალების გარდა. გეგმის გადამეტებით გადაზიდულია 80 მილიონ ტონამდე ტვირთი, მათ შორის 14 მილიონი ტონა ქვანახშირი, 3 მილიონი ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 8 მილიონი ტონა რკინისა და მანგანუმის მადანი, 5 მილიონი ტონა შავი ლითონები და სხვა უმნიშვნელოვანესი ტვირთი.

შესრულებულია ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირების დავალება. შრომის ნაყოფიერება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 8,2 პროცენტით გეგმით გათვალისწინებულ 2,1 პროცენტთან შედარებით. ტვირთზიდვის მთელი მატება განხორციელდა შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. დატვირთვის გეგმა შეასრულა ყველა რკინიგზამ. გაუმჯობესდა მოძრავი შემადგენლობის გამოყენება.

ამავე დროს ცალკეულმა რკინიგზებმა ვერ შეასრულეს ტვირთის გადაზიდვის დავალებანი.

ნელა იძირკვება ნაკლოვანებები მგზავრთა მომსახურებაში, არის მატარებლების დაგვიანების მრავალი შემთხვევა. ჯერ კიდევ დიდია გზაში ტვირთის დანაკარგები და სხვა არამწარმოებლური ხარჯები. საწარმოთა მისასვლელ გზებზე ვაგონების მოცდენის ნორმების გადაჭარბება, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა ზუსტი ორგანიზაციისა და სავაგონო პარკის ჯეროვანი მოვლა-დაცვის უქონლობა იწვევს დასატვირთი რესურსების შემცირებას.

საზღვაო ტრანსპორტმა შეასრულა საზღვარგარეთ ნაოსნობაში ტვირთზიდვის გეგმა, იგი გადიდდა 5 პროცენტით.

სამდინარო ტრანსპორტმა გადაჭარბებით შეასრულა მგზავრთა გადაყვანისა და მგზავრთბრუნვის დავალებანი. მგზავრთბრუნვის გეგმა ვერ შეასრულეს რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის საჭინისტრომ, ბელორუსის სსრ სამდინარო ფლოტის მთავარმა სამმართველომ და ესტონეთის სსრ სამდინარო ტრანსპორტმა.

საავტომობილო ტრანსპორტზე მგზავრთა გადაყვანის მოცულობა 4 პროცენტით გაიზარდა.

გაზის მრეწველობის სამინისტროს **გაზსადენებმა** შეასრულეს სსსაქონლო გაზის მიწოდების გეგმა.

საჰაერო ტრანსპორტმა გადაიყვანა 90 მილიონზე მეტი მგზავრი. შესრულებულია მგზავრთა გადაყვანის საერთო მოცულობის, სასოფლო და სატყეო მეურნეობაში საავიაციო-ქიმიურ სამუშაოთა საერთო მოცულობის გეგმები, რეალიზირებულია სახალხო მეურნეობის დარგების ზომსახურების დავალება.

კავშირგაბმულობის საწარმოებმა შეასრულეს შემოსავლის გეგმა; გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით იგი 6 პროცენტით გაიზარდა.

V. კაპიტალური მშენებლობა

ძირითადი ფონდების ამოქმედებამ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე შეადგინა 78,5 მილიარდი მანეთი, ანუ ცხრა თვის გეგმის 83 პროცენტი. სახელმწიფო **კაპიტალური დაბანდებანი** ათვისებულია 115,2 მილიარდი მანეთით, ანუ 9 პროცენტით მეტი. კაპიტალურ დაბანდებათა ამ პეროიოდისათვის დაწესებული ლიმიტი გამოყენებულია 94 პროცენტით.

კაპიტალური დაბანდებანი მანქანათსაშენებელი კომპლექსის განვითარებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის საწარმოო აპარატის ტექნიკურ განახლებას, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 17 პროცენტით გაიზარდა.

მწყობრში ჩადგა ტიუმენის ოლქში სურგუტის №2 სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მესამე ტურბინა, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში ტაშ-კუმირის ჰიდროელექტროსადგურისა და დაღესტნის ასს რესპუბლიკაში მიატლის ჰიდროელექტროსადგურის მეორე ტურბინები, მთელი რიგი სხვა ელექტროსადგურების ახალი ტურბინები. ამოქმედდა სიმძლავრეები — ქვანახშირის მოპოვებისა ირკუტსკის ოლქის „აზეისკისა“ და ტამკენტის ოლქის „ანგრენსკის“ ჭრილებში, ფოლადის წარმოებისა—ოსკოლის ლ. ი. ბრეჟნევის სახელობის ელექტრომეტალურგიულ კომბინატში, ფოლადის ნაგლინისა — ნოვოლიპეცკის ი. ვ. ანდროპოვის სახელობის მეტალურგიულ კომბინატში, სინთეზური ამიაკისა — საწარმოო გაერთიანება „ტოლიატიაზოტში“. გადიდებულია მანქანათმშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, სახალხო მოხმარების საქონლის საწარმოო სიმძლავრეები.

მაგრამ სახელმწიფო გეგმის ნომენკლატურის **ობიექტების ამოქმედების** იანვარ-სექტემბრის გეგმა შესრულებულია 49 პროცენტით. ვერ უზრუნველყვეს საწარმოო დანიშნულების ბევრი მნიშვნელოვანი ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის, ნავთობის, გაზის მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, გზათა სამინისტროებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა და სხვებმა.

შესრულებულია ნედლეულის კატალიზური რიფორმირების თუჯის, კაბელის ნაწარმის, ლითონსაჭრელი ჩარხების, სამჭედლო-საწნეხი მანქანების, კალცინირებული სოდის, ხის მერქნის ბოჭკოიანი ფილების, აზბესტ-ცემენტის შიფერის, შეკერილი ნაწარმის, ტრიკოტაჟის ტილოს, ახალი სარკინიგზო ხაზების საწარმოო **უმნიშვნელოვანეს სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმა.**

ამავე დროს მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა ტურბინიანი ელექტროსადგურების ამოქმედების, დიდი ელექტრომანქანების, ტექნოლოგიური პროცესების კონტროლისა და რეგულირების ხელსაწყოების, გორვის საკისრების, სინთეზური ამიაკის, სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სალტეების, დახრახილი ხე-ტყის მასალის, ტყავის ფეხსაცმლის, ავეჯისა და მთელი რიგი სხვა ნაწარმის სიმძლავრეთა ამოქმედების ცხრა თვის დავალებათა შესრულებაში. არ შესრულებულა სამაგისტრალო გაზ-ნავთობსადენების, რკინიგზების ელექტრიფიცირებული უბნების ამოქმედების დავალება.

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ **საიჯარო სამუშაოთა მოცულობა** გაიზარდა 7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 4,5 პროცენტით.

სამშენებლო კომპლექსის სამინისტროების ხაზით საიჯარო სამუშაოთა მოცულობა გადიდდა 7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 4,9 პროცენტით. საიჯარო სამუშაოთა დაწესებული მოცულობის შესრულებამ შეადგინა 99,5 პროცენტი.

სამშენებლო სამინისტროებმა თავი ვერ მოუყარეს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს ასამუშავებელ ობიექტებზე, რაც ამოქმედების გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ასამუშავებელი ობიექტების საგეგმო დავალებათა შესრულების დონე უფრო დაბალია, ვიდრე მთლიანად ყველა ობიექტისა.

მეოთხედზე მეტმა საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა ვერ შეასრულა მოგების გეგმა.

გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდის უფრო სწრაფი ტემპის მიუხედავად უკანასკნელ თვეებში ხდება მისი შემცირება.

VI. სოციალური განვითარება და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება

ეკონომიკის ზრდის საფუძველზე ხორციელდება სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამა, რომელიც სკკპ XXVII ყრილობამ მიიღო.

მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული **ეროვნული შემოსავალი** გაიზარდა 3,7 პროცენტით.

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვმა საშუალოდ ცხრა თვეში 118 მილიონს გადააჭარბა.

გაიზარდა შრომის ანაზღაურება. სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ფულადმა ხელფასმა შეადგინა 194 მანეთი გასული წლის შესაბამისი პერიოდის 189 მანეთთან შედარებით, ზრდამ — 2,9 პროცენტი. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება გადიდდა 4 პროცენტით.

შრომის ანაზღაურების გადიდებასა და მისი ორგანიზაციის სრულყოფასთან ერთად აქტიურდება ბრძოლა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ.

მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო 115 მილიარდი მანეთის დახმარება და შეღავათები, ანუ 4,5 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ამ დახმარებისა და შეღავათების გათვალისწინებით მუშა-მოსამსახურეთა ხელფასმა თვეში 271 მანეთი შეადგინა.

მშრომელთა ანაბრები შემნახველ სალაროებში ცხრა თვის მანძილზე 11 მილიარდი მანეთით და მეტად გაიზარდა.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვის** მოცულობამ შეადგინა 245,9 მილიარდი მანეთი და 1985 წლის ცხრა თვესთან შედარებით გაიზარდა, შესადარი ფასებით, 15,2 მილიარდი მანეთით, ანუ 6,6 პროცენტით.

საცალო საქონელბრუნვის გეგმა მთლიანად ქვეყანაში შესრულდა. ამავე დროს გეგმა ვერ შეასრულეს ბელორუსიის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ და თურქმენეთის სსრ-მ.

კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ინტენსიური განვითარების გამო მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნაა ხე-ტყესა და საშენ მასალებზე. მაგრამ ბევრ მათს სახეობაზე მოთხოვნა მთლიანად ვერ კმაყოფილდება, ვაჭრობაში მათი მიწოდების გეგმა ცხრა თვეში არ შესრულებულა.

ხორციელდებოდა ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვის შემცირების ღონისძიებანი: ცხრა თვეში გაიყიდა 38 პროცენტით ნაკლები, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში; მოსახლეობის დანაზარჯები მათი ყიდვისათვის შემცირდა 8,5 მილიარდი მანეთით. ალკოჰოლიანი სასმელების ხმარების შემცირება ხელს უწყობს ქვეყანაში ვითარების საერთო გაჯანსაღებას — შემცირდა მუშათა მოცდენები, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების, საყოფაცხოვრები ტრავმების რიცხვი, მკვეთრად იკლო მოსახლეობის სიკვდილიანობამ უბედური შემთხვევების გამო (24 პროცენტით).

ამავე დროს მთელი რიგი რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ჯეროვან ღონისძიებებს არ ახორციელებენ იმისათვის, რომ ღვინის საწარმოებს პროფილი შეუცვალონ და გამოუშვან სხვა პროდუქცია, გამოიყენონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ფასიანი მომსახურების გადიდების, ამ საფუძველზე მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის შეწონასწორების ყველა შესაძლებლობა.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამის შესაბამისად მოსახლეობას გაეწია 37 მილიარდი მანეთის, ანუ 17 პროცენტით მეტი ფასიანი მომსახურება, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობამ შეადგინა 8 მილიარდი მანეთი, და გაიზარდა 7,3 პროცენტით წლიური გეგმის 6,7 პროცენტთან შედარებით, მიღწეულია სოფლად მისი ზრდის უპირატესი ტემპი. გეგმას თავი ვერ გაართვეს უზბეკეთის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და ტაჯიკეთის სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებმა და ორგანიზაციებმა.

საქონელბრუნვისა და მომსახურების გადიდების პირობებში მოსახლეობის მზარდი მოთხოვნა მათს ზოგიერთ სახეობაზე მთლიანად ვერ კმაყოფილდებოდა, კვლავ ვინდებურად ჩამორჩება მოთხოვნილებებს ბევრი საქონლისა და მომსახურების ხარისხი.

გაუარესდა მსუბუქი მრეწველობის მუშაობა. დაბალია განსაკუთრებით მოღუერი ნაწარმის წილი. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წარმოების საერთო მოცულობაში იგი შეადგენს 2 პროცენტზე ნაკლებს. სისტემატურად იწუნებენ და ხარისხს აკლებენ ამ სამინისტროს საწარმოთა მიერ გამოშვებული ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ქსოვილების 8,9 პროცენტს.

გაიზარდა **საბინაო მშენებლობის** მსჩუბები. მარტო სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 935 ათასი მოსწავლისათვის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებანი — 272 ათასი ბავშვისათვის, საავადმყოფოები — 25 ათასი ავადმყოფისათვის, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებანი — ცვლაში 59 ათასი პაციენტის მისაღებად. ყველა ასამუშავებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოქმედება სასწავლო წლის დაწყებისათვის არ არის უზრუნველყოფილი. არ შესრულებულა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, საავადმყოფოების, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ამოქმედების ცხრა თვის გეგმა.

1 სექტემბრისათვის ზამთრის პირობებში საექსპლოატაციოდ მზად იყო სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის საერთო ფართობის 91 პროცენტი.

ხორციელდებოდა ქალაქების ატმოსფეროული ჰაერის გაჯუჯყიანებული წყლის წყაროებში გაჯუჯყიანებული ჩამდინარე წყლების გადაგდების შემცირების, საბრუნი წყალმომარაგების გადიდების ღონისძიებანი, რამაც შესაძლებელი გახადა მარტო წლის პირველ ნახევარში დღე-ღამეში დაზოგილიყო მილიონ კუბურ მეტრზე მეტი ახალი წყალი.

თანამიმდევრულად ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის **რეფორმა.**

1986/87 სასწავლო წლის დამდეგისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 43,5 მილიონი მოსწავლე, აქედან 5,5 მილიონი პირველად გახდა მოსწავლე, ამასთან ყოველი მეხუთე — ექვსი წლისა. საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობს 4,5 მილიონი, უმაღლეს სასწავლებლებში — 5,2 მილიონი კაცი. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიღებულია 2,6 მილიონი კაცი.

1986 წლის 1 სექტემბრისათვის საბჭოთა კავშირის **მოსახლეობამ** 280,9 მილიონი შეადგინა.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

მართლწესრიგისათვის ბრძოლას — შეტევითობა, უკომპრომისობა

(დასასრული)

და ეს უნდა გაითვალისწინონ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ამხ. გ. შ. კვანტალიანმა, სისხლის სამართლის სამმებრის სამმართველოს უფროსმა ამხ. ტ. ნ. ვარდანაშვილმა.

შეუფუყნარებლად ნელა უმჯობესდება საგამოძიებო მუშაობა. ზოგიერთ რეგიონში (ქალაქ ქუთაისის ავტოკარხნის რაიონი, ზუგდიდის რაიონი, ქალაქი წყალტუბო და სხვა) პროკურორები, შინაგან საქმეთა განყოფილებების უფროსები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედების ორგანიზაციას, ხშირად ხდება, რომ თავად არ მიდიან დანაშაულის ადგილზე.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრისათვის მუშაობას საგარეჯოს, ყვარლის, თელავის, ახალციხის, ლაგოდეხის, ბოგდანოვკის რაიონებში. ვერ შეკურიგდებით სიტუაციას, როცა ბევრი ბოროტგამზრახველი — ისევე, როგორც, მაგალითად, ყვარლისა და ბოგდანოვკის რაიონებში, დანაშაულის ჩადენია დროს მთვრალია.

ყველაფერი რიგზე როდია მაწანწალობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბოლო დროს გაიზარდა სამართალდარღვევების რიცხვი იმ პირთა მიერ, რომლებსაც არა აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და სამუშაო. თბილისში, ქუთაისში, გაგრაში, წყალტუბოში, ლანჩხუთისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში მათ განზრახ მკვლელობაც კი ჩადენეს. დაუყოვნებლივ უნდა აღკვეთოთ პირადი საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავების დროს მაწანწალების გამოყენების ფაქტები, რომლებიც აღინიშნა აფხაზეთის ასს, აჭარის ასს რესპუბლიკებში, გარდაბნის, მარნეულისა და კოლხეთის დაბლობის რაიონებში. განსაკუთრებით მოეკითხებათ ამისაგვის (სპასპორტო სამსახურის მუშაკებსა და უბნის ინსპექტორებს. ჯერჯერობით კი ასეთი მომთხოვნელობა გვაკლია, რის გამოც ზოგიერთმა პასპორტისტმა თავისი თანამდებობა მოგების წყაროდ აქცია. როგორც ჩანს, ეს მნიშვნელოვანწილად საკადრო პოლიტიკის განხორციელებაში არსებული ხარვეზებით აიხსნება.

რამდენადმე შენელდა ბრძოლა მუქთახორობის წინააღმდეგ. ის პირები, რომლებიც არ მუშაობენ, სისტემატურად სჩადიან სხვადასხვა დანაშაულს. აქამდე ვერ მოხერხდა გაზრდილიყო უბნის ინსპექტორთა პასუხისმგებლობა იმათი შრომითი მოწყობისათვის, ვინც თავს არიდებს მუშაობას, და მათ მიმართ კონტროლისათვის. მაგალითად ჭიათურაში ახლახან დააკავეს ამ ქალაქის მკვიდრი ჯელია. გამოირკვა, რომ წინათ იგი ნასამართლევი იყო ქურდობისათვის, თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლდა გასული წლის სექტემბერში, იქიდან მოყოლებული მიმდინარე წლის თებერვლამდე ცამეტჯერ მოეწყო სამუშაოდ ხანმოკლე დროით, შემდეგ ცხრა თვეს არსად უმუშავია, და კვლავ ჩაიდინა დანაშაული. უბნის ინსპექტორს ბებინაშვილს და სისხლის სამართლის სამმებრის ოპერრწმუნებულს გაფრინდაშვილს მხოლოდ გაფრთხილება აკმარეს ქალაქის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსთან გამართულ თათბირზე. ცხადია, უმოქმედობისა და მუქთახორობის მიმართ წაყენებულ ფაქტების გამო ასეთი ღონისძიებების მიღებით წესრიგის დამყარება ძნელია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ (ამხ. ვ. ი. შაფდური), საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსმა (ამხ. გ. ვ. ბიჭაშვილი) უნდა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი ამ საქმეში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

პრაქტიკულად არ უმჯობესდება ვითარება საავტომობილო ტრანსპორტზე. გახშირდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, რომელთა შედეგად ზოგჯერ ავტობუსების მგზავრები იღუპება ან სახიჩრდება. ასეთი ავარიები მოხდა ონის, მახარაძის, ზოგიერთ სხვა რაიონში. აქ, ისევე როგორც ამბროლაურის, ქარელის, სიღნაღის, თერჯოლის რაიონებში, ქალაქებში ფოთსა და ჭიათურაში, საკმარისი მეთვალყურეობა არა აქვს დაწესებული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას, რასაც ავარიების ზრდა მოჰყვა.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამართალდაცვითი ორგანოების მიერ სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვა. ფაქტები მოწმობს: ამ უბანზე ყველაფერი როდია მოგვარებული. მაგალითად, მეტად უხეში დარღვევებია დაშვებული ბათუმში მოქალაქე დიასამიძის მკვლელობის სისხლის სამართლის საქმის გახილვის დროს.

რესპუბლიკის სამართალდაცვითს ორგანოებში ახლა ხორციელდება მუშაობის ფორმების, სტილისა და მეთოდების გარდაქმნა. ამასთან დიდი მნიშვნელობა

ეპოქის შესაფერი ბედი

(დასასრული)

განახლებული წარმოუდგა საიუბილეო დღესასწაულის მონაწილეებს რაიონული ცენტრიც. აქ, ახალ საზაფხულო თეატრში, გაიმართა გ. კ. ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომის გახსნისას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერეზიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სერგო ორჯონიკიძე ყოველთვის შემტევი პოზიციებიდან ახორციელებდა სოციალისტური მშენებლობის ლენინურ პრინციპებს. მთელი ცხოვრებისეული გზა ჩვენი თანამემამულისა, რომელიც, ვ. ი. ლენინის მოსწრებული თქმით, „უერთგულესი და უაღრესად საქმიანი რევოლუციონერი“ იყო, პარტიისა და ხალხის თავდადებული სამსახურის მკაფიო ნიმუშია.

საქმე, რომელსაც მთელი თავიანთი სიცოცხლე შეალიეს ამხანაგმა სერგომ და მისმა თანამებრძოლებმა, საიმედო ხელშია: მის მემკვიდრეებსა და შთამომავლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ატარონ წარმატებათა ესტაფეტა. დიდი თანამემამულის, ერთგული რევოლუციონერ-ლენინელის შესახებ, რომლის ცხოვრება გმირობა გახდა უკეთესი მომავლისათვის, სხდომაზე ილაპარაკეს საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ვ. მაღრაძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა ა. მ. აფაქიძემ, იაკუტიის ასსრ სკკპ ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ი. ვარლამოვამ, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანმა ბ. ა. ავალიშვილმა, საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ სახალხო არტისტმა ე. გ. მაღალაშვილმა, გ. კ. ორჯონიკიძის ქალიშვილმა ე. გ. ორჯონიკიძემ. მათ დახატეს სერგო ორჯონიკიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის მკაფიო სურათი, ხაზგასმით აღნიშნეს მისი შესანიშნავი ადამიანური ღირსებები, კრისტალური სისპეტაკე და კეთილშობილება, რევოლუციის იდეალების უსაზღვრო ერთგულება. აღინიშნა, რომ ლენინური წრთობის კომისრის ნათელი სახე მუდამ იქნება უჭკნობი შთამაგონებელი მაგალითი ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, და უწინარეს ყოვლისა — ახალგაზრდობისათვის.

და არაფერი არ დაფარა

რავს ხალხის გზას

მისკენ...

ამ მაღალი გორაკიდან, რომელიც სოფელ უბისას გადმოჰყურებს, ხელისგულივით მოჩანს მთელი ორჯონიკიძის რაიონი. აქ, თავისი ყრმობის მთების დაბრუნდა ბრინჯაოდ ჩამოსხმული ამხანაგი სერგო. აქ აღმართული დიდებული მონუმენტი ლაკონიურად და მკაფიოდ წარმოადგენს ლენინური გვარდიის ჯარისკაცის სახეს. თითქოს მომავლისაკენაა მიპყრობილი „რკინის“ სახკომის მზერა, დაბლა კი, შემოდგომის მსუბუქ ნისლში გადაჭიმულია მისი მშობლიური მხარე.

მასშტაბური, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა აქ საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე. ოდესღაც მიფარდნილი ხარაგაული საქართველოს ერთ-ერთი .დიდი სამეურნეო რეგიონი გახდა. მის სოფლებში აღმართულია ლამაზი სახლები, მოასფალტებულია გზები. ყოველი წელი რაიონის მშრომელებს ახარებს სოციალური ახალშენებლობებით. აი ახლაც, მაგალითად, ბოტო ღორეშაში — სერგო ორჯონიკიძის მშობლიურ სოფელში სწორედ იუბილეს წინ მწყობრში ჩადგა საავადმყოფო, საკურო-საყოფაცხოვრებო ცენტრი. სპორტული კომპლექსი, აშენდა ხიდი, დამთავრდა სოფლის ტელეფონიზაცია. პატარების მისაღებად მზად არიან ხვეისა და მოლითის საბავშვო ბაღები. მალე დამთავრდება კურორტ ნუნისის კეთილმოწყობა...

ყველა ამ და სხვა სასიხარულო ცვლილებებს მყარი საფუძველი აქვს — რაიონის ეკონომიკის მტკიცე გადასვლა ინტენსიფიკაციის რელსებზე, ადგილობრივი მეურნეობების მიერ განვითარებული დაჩქარება შრომაში. სოფლების მოლითისა და მაქათუბნის კოლმეურნეებმა თავიანთი სახელოვანი თანამემამულის იუბილესთვის სამშობლოს უპატაკეს მეცხოველეობის პროდუქციის დამზადების წლიურ დავალებათა შესრულება. მთლიანად რაიონში კი ამ თარიღისთვის შესრულდა ათი თვის პროგრამა. ჯალენდრის გასწრებით შრომობენ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, მშენებლები და ტრანსპორტის მუშაკები.

დგება საზეიმო წუთი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი ჭრის ალისფერ ლენტს. გ. კ. ორჯონიკიძის ძეგლს ეხსნება თეთრი საბურველი.

იწყება მიტინგი. იგი გახსნა ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ჯ. გ. უჩიძემ. მიტინგზე გამოვიდნენ ორჯონიკიძის №1 საშუალო სკოლის მეათეკლასელი ქ. დ. ჭიპაშვილი, სკკპ ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე მ. პ. ბაკაევი, უაბარდო-ბალყარეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. კემოვი, პოეტი ე. ე. ნიჟარაძე.

სასიკეთო ცვლილებანი, დაჩქარება, რომლებსაც მძლავრი იმპულსი მიანიჭა პარტიის XXVII ყრილობის მიერ შემუშავებულმა გარდაქმნის სტრატეგიამ, ახლა მთელ ქვეყანაში ხდება. ახლანდელ და მომავალ წარმატებათა მტკიცე საძირკვლად საბჭოთა ადამიანებს სამართლიანად მიაჩნიათ მძლავრი ეკონომიკური და ზნეობრივი პოტენციალი, რომელიც პირველი ხუთწლედების წლებში შექმნა ლენინური საქმის ერთგულ მემკვიდრეთა ფოლადის კოჰორტამ, რომელთა პირველ რიგებში ამხანაგი სერგო იყო. მისი ორგანიზატორული ნიჭი, რომელიც ასე მკაფიოდ გამოვლინდა ურალში, უკრაინაში, სხვა რეგიონებში, მძიმე ინდუსტრიის განვითარებით, ქვეყნის მთელი ხალხო-სამეურნეო კომპლექსის ტექნიკური განახლების საიმედო ბაზად მისი გადაქცევით, ახლა რელიეფურად შეინიშნება ჩვენი ეკონომიკის მიღწევები. მოუსვენარი სულისა და მგზნებარე გულის კაცმა, სერგო ორჯონიკიძემ ბევრი რამ გააკეთა სოციალისტური წრთობის წარმოების მეთაურთა აღზრდისათვის, სათუთად ზრდიდა მათ და მათდამი ნდობას უხამებდა დაკისრებული საქმისათვის მკაცრ პარტიულ მომთხოვნელობას.

ხალხის დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალის ღრმა რწმენა, ნამდვილი პატრიოტიზმი და მგზნებარე ინტერნაციონალიზმი მისი გზის მანათობელი შუქურა იყო. მის სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება და მისი პირველი ნაბიჯები ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში. ფასდაუდებელია გრიგოლ კონსტანტინეს ძის წვლილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნაში, საბჭოეთის ერებისა და ეროვნებების მოხოლითური ერთიანობის ფორმირებაში. სერგო ორჯონიკიძის საქმეებმა და ანდერძმა, მისმა ხსოვნამ დაუაბლოვა და დაამეგობრა მილიონობით ადამიანი, რომლებიც ამაყად ატარებენ ორჯონიკიძელთა სახელს. ეს არის 600-მდე ქალაქი, რაიონი, შრომითი კოლექტივი.

— მრავალ ათას კილომეტრს, რომელიც ერთმანეთს გვაშორებს, არ შეუფერხებია ჩვენი მეგობრული ხელის ჩამორთმევა, — თქვა იაკუტიის ასსრ სკკპ ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ი. ვარლამოვამ, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანმა ბ. ა. ავალიშვილმა, საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ სახალხო არტისტმა ე. გ. მაღალაშვილმა, გ. კ. ორჯონიკიძის ქალიშვილმა ე. გ. ორჯონიკიძემ. მათ დახატეს სერგო ორჯონიკიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის მკაფიო სურათი, ხაზგასმით აღნიშნეს მისი შესანიშნავი ადამიანური ღირსებები, კრისტალური სისპეტაკე და კეთილშობილება, რევოლუციის იდეალების უსაზღვრო ერთგულება. აღინიშნა, რომ ლენინური წრთობის კომისრის ნათელი სახე მუდამ იქნება უჭკნობი შთამაგონებელი მაგალითი ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, და უწინარეს ყოვლისა — ახალგაზრდობისათვის.

რავს ხალხის გზას

მისკენ...

ამ მაღალი გორაკიდან, რომელიც სოფელ უბისას გადმოჰყურებს, ხელისგულივით მოჩანს მთელი ორჯონიკიძის რაიონი. აქ, თავისი ყრმობის მთების დაბრუნდა ბრინჯაოდ ჩამოსხმული ამხანაგი სერგო. აქ აღმართული დიდებული მონუმენტი ლაკონიურად და მკაფიოდ წარმოადგენს ლენინური გვარდიის ჯარისკაცის სახეს. თითქოს მომავლისაკენაა მიპყრობილი „რკინის“ სახკომის მზერა, დაბლა კი, შემოდგომის მსუბუქ ნისლში გადაჭიმულია მისი მშობლიური მხარე.

მასშტაბური, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა აქ საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე. ოდესღაც მიფარდნილი ხარაგაული საქართველოს ერთ-ერთი .დიდი სამეურნეო რეგიონი გახდა. მის სოფლებში აღმართულია ლამაზი სახლები, მოასფალტებულია გზები. ყოველი წელი რაიონის მშრომელებს ახარებს სოციალური ახალშენებლობებით. აი ახლაც, მაგალითად, ბოტო ღორეშაში — სერგო ორჯონიკიძის მშობლიურ სოფელში სწორედ იუბილეს წინ მწყობრში ჩადგა საავადმყოფო, საკურო-საყოფაცხოვრებო ცენტრი. სპორტული კომპლექსი, აშენდა ხიდი, დამთავრდა სოფლის ტელეფონიზაცია. პატარების მისაღებად მზად არიან ხვეისა და მოლითის საბავშვო ბაღები. მალე დამთავრდება კურორტ ნუნისის კეთილმოწყობა...

ყველა ამ და სხვა სასიხარულო ცვლილებებს მყარი საფუძველი აქვს — რაიონის ეკონომიკის მტკიცე გადასვლა ინტენსიფიკაციის რელსებზე, ადგილობრივი მეურნეობების მიერ განვითარებული დაჩქარება შრომაში. სოფლების მოლითისა და მაქათუბნის კოლმეურნეებმა თავიანთი სახელოვანი თანამემამულის იუბილესთვის სამშობლოს უპატაკეს მეცხოველეობის პროდუქციის დამზადების წლიურ დავალებათა შესრულება. მთლიანად რაიონში კი ამ თარიღისთვის შესრულდა ათი თვის პროგრამა. ჯალენდრის გასწრებით შრომობენ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, მშენებლები და ტრანსპორტის მუშაკები.

დგება საზეიმო წუთი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი ჭრის ალისფერ ლენტს. გ. კ. ორჯონიკიძის ძეგლს ეხსნება თეთრი საბურველი.

იწყება მიტინგი. იგი გახსნა ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ჯ. გ. უჩიძემ. მიტინგზე გამოვიდნენ ორჯონიკიძის №1 საშუალო სკოლის მეათეკლასელი ქ. დ. ჭიპაშვილი, სკკპ ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე მ. პ. ბაკაევი, უაბარდო-ბალყარეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. კემოვი, პოეტი ე. ე. ნიჟარაძე.

სასიკეთო ცვლილებანი, დაჩქარება, რომლებსაც მძლავრი იმპულსი მიანიჭა პარტიის XXVII ყრილობის მიერ შემუშავებულმა გარდაქმნის სტრატეგიამ, ახლა მთელ ქვეყანაში ხდება. ახლანდელ და მომავალ წარმატებათა მტკიცე საძირკვლად საბჭოთა ადამიანებს სამართლიანად მიაჩნიათ მძლავრი ეკონომიკური და ზნეობრივი პოტენციალი, რომელიც პირველი ხუთწლედების წლებში შექმნა ლენინური საქმის ერთგულ მემკვიდრეთა ფოლადის კოჰორტამ, რომელთა პირველ რიგებში ამხანაგი სერგო იყო. მისი ორგანიზატორული ნიჭი, რომელიც ასე მკაფიოდ გამოვლინდა ურალში, უკრაინაში, სხვა რეგიონებში, მძიმე ინდუსტრიის განვითარებით, ქვეყნის მთელი ხალხო-სამეურნეო კომპლექსის ტექნიკური განახლების საიმედო ბაზად მისი გადაქცევით, ახლა რელიეფურად შეინიშნება ჩვენი ეკონომიკის მიღწევები. მოუსვენარი სულისა და მგზნებარე გულის კაცმა, სერგო ორჯონიკიძემ ბევრი რამ გააკეთა სოციალისტური წრთობის წარმოების მეთაურთა აღზრდისათვის, სათუთად ზრდიდა მათ და მათდამი ნდობას უხამებდა დაკისრებული საქმისათვის მკაცრ პარტიულ მომთხოვნელობას.

ხალხის დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალის ღრმა რწმენა, ნამდვილი პატრიოტიზმი და მგზნებარე ინტერნაციონალიზმი მისი გზის მანათობელი შუქურა იყო. მის სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება და მისი პირველი ნაბიჯები ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში. ფასდაუდებელია გრიგოლ კონსტანტინეს ძის წვლილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნაში, საბჭოეთის ერებისა და ეროვნებების მოხოლითური ერთიანობის ფორმირებაში. სერგო ორჯონიკიძის საქმეებმა და ანდერძმა, მისმა ხსოვნამ დააახლოვა და დაამეგობრა მილიონობით ადამიანი, რომლებიც ამაყად ატარებენ ორჯონიკიძელთა სახელს. ეს არის 600-მდე ქალაქი, რაიონი, შრომითი კოლექტივი.

— მრავალ ათას კილომეტრს, რომელიც ერთმანეთს გვაშორებს, არ შეუფერხებია ჩვენი მეგობრული ხელის ჩამორთმევა, — თქვა იაკუტიის ასსრ სკკპ ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ი. ვარლამოვამ, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანმა ბ. ა. ავალიშვილმა, საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ სახალხო არტისტმა ე. გ. მაღალაშვილმა, გ. კ. ორჯონიკიძის ქალიშვილმა ე. გ. ორჯონიკიძემ. მათ დახატეს სერგო ორჯონიკიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის მკაფიო სურათი, ხაზგასმით აღნიშნეს მისი შესანიშნავი ადამიანური ღირსებები, კრისტალური სისპეტაკე და კეთილშობილება, რევოლუციის იდეალების უსაზღვრო ერთგულება. აღინიშნა, რომ ლენინური წრთობის კომისრის ნათელი სახე მუდამ იქნება უჭკნობი შთამაგონებელი მაგალითი ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, და უწინარეს ყოვლისა — ახალგაზრდობისათვის.

ხსოვნისა და საქმეების

მემკვიდრეობითობა

მონუმენტის წახნაგები ჩამავალი მზის უკანასკნელ სხივებთან ერთად გაანათა სამხედრო

ჩვენი სერგო

აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის თეატრში გაიმართა ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავს.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ვ. ადლეიბამ.

მოხსენებაში გ. კ. ორჯონიკიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომელიც გააკეთა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა რ. ბ. ბუტბამ, გამოსვლებში აღინიშნა, რომ ორჯონიკიძის სახელი განსაკუთრებით ძვირფასია აფხაზი ხალხისათვის. გ. კ. ორჯონიკიძე აფხაზეთში პირველად 1905 წელს ჩამოვიდა პარტიის დავალებით. იგი ფერშლად მოეწყო გუდაუთის საავადმყოფოში და მაშინვე გააჩაღა ფართო რევოლუციური მუშაობა.

გუდაუთელმა ბოლშევიკებმა სერგოს მეთაურობით მჩქეფარე ორგანზატორული და პროპაგანდისტული საქმიანობა გაშალეს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სერგო კიდევ უფრო მჭიდრო საქმიან ურთიერთობას ამყარებს აფხაზეთთან, განამტკიცებს კონტაქტებს რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელებთან, კერძოდ, აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის წევრებთან ე. ეშბასთან, ნ. ლაკობასთან, ნ. აკირტავასთან და სხვებთან.

გ. კ. ორჯონიკიძე მუდამ ადევნებდა თვალს სოციალისტურ მშენებლობას აფხაზეთში, იმას, თუ როგორ ხორცეელდებოდა პრაქტიკულად მხარეში სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმა.

როცა თვალს ვავლებთ გ. კ. ორჯონიკიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, აღინიშნა კრებაზე, ვსწავლობთ მთავარს — პასუხისმგებლობას დროის წინაშე.

კრებაზე დამსწრეთ გ. კ. ორჯონიკიძესთან შეხვედრების მოგონებანი გაუზიარა პარტიისა და კომკავშირის ვეტერანმა ზ. ნ. ციკოლიამ. გუდაუთის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის მუშამ, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. გ. გრიგოლიამ ილაპარაკა იმაზე, თუ რა პატივს მიაგებენ სერგო ორჯონიკიძის ხსოვნას გუდაუთის რაიონში.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი. (საქინფორმი).

საიუბილეოდ გამოვიდა

„ამიერკავკასიის შესახებ“ — ასე ჰქვია სერგო ორჯონიკიძის რჩეული სტატიებისა და სტატიების კრებულს, რომელიც დიდი რევოლუციონერისა და სახელმწიფო მოღვაწის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს დღეებში მიიღო ქართველმა მკითხველმა. ამ თარიღთან დაკავშირებით გამოვიდა აგრეთვე გივი მარუაშვილის „რევოლუციის უერთგულესი“, აკაკი ირემაძის „ჩვენი სერგო“, ილია დუბინსკი-მუხაძის „ორჯონიკიძე“; რუსულ ენაზე გამოვიდა აგრეთვე ფელიქს სეირანიანის „გ. კ. ორჯონიკიძე სოციალისტური მშენებლობის წლებში“, შემოტანილია ქვეყნის სხვადასხვა გამომცემლობაში დაბეჭდილი სერგო ორჯონიკიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ლიტერატურა.

ბარბიული ცხოვრება: მარდაქმნის წახნაგი და შედეგი

ათას ექვსასი კაცი შრომობს ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადში“. ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა ინიციატივიან, შემოქმედებითს მუშაობას მოითხოვს თითოეულისაგან პარტია. გარდატეხა ხდება ჩვენი ცხოვრების, ყველა სფეროში, მეტი მომთხოვნელობა და კონტროლი დაწესდა სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისადმი, წინა პლანზეა ადამიანის ფაქტორი.

ჩვენს კოლექტივში 7 საამქრო პარტიული ორგანზაცია და 11 პარტიული ჯგუფია, რომლებშიც 282 კომუნისტია გაერთიანებული. ეს ხომ დიდი ძალაა. პარტიული კომიტეტისა და საამქრო ორგანიზაციების უყურადღება გადატანილია სახელმწიფო გეგმა-ვალდებულებების შესრულებაზე, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე, ხოლო ჩვენ წინაშე დასახული მიზნების განხორციელების თავიდათავი მაინც სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის სიმტკიცე და კადრების პასუხისმგებლობის ზრდაა. კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მრავალი მოწინავე მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი გვყავს, ესენია: სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლევან სეთური, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელდარ გელაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი გიორგი ჭუმბურიძე, ლენინის ორდენოსანი იოსებ ჩიტაშვილი და სხვები.

პარტიული კომიტეტის სხდომებზე ჩვენი საწარმოს ცხოვრების თითქმის ყველა საკითხზე ვმსჯელობთ ხოლმე და შესაბამისი დადგენილებანიც გამოგვაქვს. როცა ერთხელ კიდევ გადავსინჯეთ გაერთიანების შესაძლებლობანი, პირველი რიგის ამოცანად დავისახეთ, რომ მეთერთმეტე ხუთწლედთან შედარებით წარმოების მოცულობა გავზარდოთ 147 პროცენტით და ამ ხუთწლედში 210 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოვუშვათ.

გაერთიანებაში ახალი სამამულო და უცხოური მარკის დანადგარები იდგმება. ამჟამად აპრობაციას გადის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დამზადებული ლაქდასასმელი ავტომატური ხაზი „დიური“, რომელიც ბევრად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, პირობითად 70 მუშას გამოათავისუფლებს და, რაც მთავარია, კვეთრად ამაღლებს პროდუქციის ხარისხს. გათვალისწინებულია მარტო მიმდინარე წელს 32 დასახელების ახალი დანადგარები დაიდგას.

სკკპ XXVII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომმა პლენუმებმა, საწარმოთა წინაშე მკაცრად დააყენეს ხარისხის პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ ხარისხისშენიანი პროდუქციის ხვედრითი წილი საერთო პროდუქციაში შარშანდელთან შედარებით გაიზარდა, იგი მაინც არ შეესაბამება მოთხოვნებს, უკმაყოფილო გვყავს მომხმარებელი — სუსტია ავეჯის გამძლეობა, დარღვეულია ტექნოლოგიური პროცესები. სწორედ ამიტომ, მიმდინარე წლის 8 თვეში სავაკრო ორგანიზაციებიდან 6 რეკლამაცია მივიღეთ და ჯარიმამ 22 ათასი მანეთი შეადგინა. სანამ რეკლამაციას ვიღებთ, სანამ ერთი მომხმარებელიც კი უკმაყოფილოა, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ხარისხის მდგომარეობა კარგია და ვერ მივეცემით თვითდამშვიდებას.

ძირითადი მაინც წარმოების რიტმული მომარაგებაა ყველაზე საჭირო პროდუქციით — მერქანბურბუშელის ფილით. ამ პროდუქციას რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან ურიტმოდ ვიღებთ წლების მანძილზე. ეს კი უპირველესად პროდუქციის გამოშვებას ასკმს დაღს, ამ ნაკლის გამოსწორებისათვის ჩვენ ვმუშაობთ და ვფიქრობთ, ახლო მომავალში შედეგიც გვექნება. ამჟამად მოუშავდება დებულებები და 1987 წლის დამდეგიდან გადავდივართ პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე, ეს კი ბევრად გაზრდის შრომითი კოლექტივის თითოეული წევრის პასუხისმგებლობას.

იმისათვის, რომ მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვან და სახელმწიფო გეგმა-ვალდებულებანი შესრულდეს, სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად აქტიურად მუშაობენ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანზაციები. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რადგან ნაკლი ჯერ კიდევ ბევრია.

ხარისხის პრობლემა რომ გადაიჭრას, ამისათვის აუცილებელია შრომის დისციპლინის განმტკიცება, წარმოების კულტურის ამაღლება, რიტმული მომარაგება და სხვა. ამ საკითხებში გადამჭრელი სიტყვა უნდა თქვან საამქრო პარტიულმა ორგანზაციებმა, რომლებიც ჯერ კიდევ პასიურობენ.

დრო გვაფრთხილებს, დრო გვამოწმებს

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა კრასნოდარის მხარის პარტიულ აქტივთან შეხვედრისას აღნიშნა, „ძველებურად ცხოვრება და მუშაობა, ფიქრი და მოქმედება აღარ შეგვიძლია, „გარდაქმნილად ვერ გადავწყვეტთ იმას, რაც მიზნად დავისახეთ, ვერ გადავწყვეტთ ამოცანებს, რომლებიც XXVII ყრილობამ წამოაყენა“.

უპირველესად უურადღება ადამიანებთან, კომუნისტებთან მუშაობას და მართვის სისტემის სრულყოფას დავუთმეთ, შევიმუშავეთ რამდენიმე საკითხი, რითაც ვფიქრობთ გავაძლიეროთ ხელმძღვანელებისა და საშუალო რგოლისადმი მომთხოვნელობა, გავზარდოთ შათი პასუხისმგებლობა. ამ მიზნით პარტიულ კრებებსა და კომიტეტის სხდომებზე ვისმენთ მათს ანგარიშებს, ვამტკიცებთ პარტიულ დახასიათებებს. საანგარიშო პერიოდში უკვე მოსმენილია ანგარიშები და დამტკიცებულია 6 კომუნისტის პარტიული დახასიათება, მაგრამ საქმეს კრიტიკულად და მთელი პარტიული პასუხისმგებლობით რომ მივდგომოდით, შედეგი ალბათ სხვა იქნებოდა. მომავალში ყველა რგოლის მუშაკის ანგარიში უფრო პრინციპულად შეფასდება.

ჩვენმა პარტიულმა კომიტეტმა ერთ-ერთ მორიგ სხდომაზე ფაზოვანი დეტალების საამქრო პარტიული ორგანიზაციის მდივნის დ. შარიქაძის ანგარიში მოისმინა და მისი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია. დ. შარიქაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, განთავისუფლდა მდივნის მოვალეობისაგან და ნაკლებსეფასიან სამუშაოზე გადაიყვანეს.

სამწუხაროდ, პარტჯგუფორგების მუშაობითაც არა ვართ კმაყოფილი, ისინი არ აქტიურობენ. საკმაოდ ბევრი საჭირბოროტო საკითხია, რომლებიც მათ თვითონ შეუძლიათ გადაწყვიტონ, მაგრამ ჩვენ გველოდებიან, ადმინისტრაციულ ხელმძღვანელებს შეჰყურებენ. იშვიათად თუ შემოივლიან ჩვენთან, თვითონ თუ არ მივაკითხეთ, არც ახსენდებათ თავიანთი მოვალეობა. პრეტენზიები კი ხშირად აქვთ ხოლმე.

პარტჯგუფორგმა გ. კასტიუკევმა, კ. ვალიჯანაშვილმა, ს. ჩარგეიშვილმა და სხვებმა დაუყენებლივ უნდა გარდაქმნან მუშაობა და თვითონ გარდაიქმნან.

ძალიან მოისუსტებდა სახალხო კონტროლის ჯგუფის საქმიანობაც, რომელიც ჯეროვნად არ იბრძოდა დისციპლინის განმტკიცების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მასალების ეკონომიკური ხარჯვისათვის. დასამალი როდია, რომ ნაკლები ყურადღება ეთმობოდა მუშა-მოსამსახურეთა კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, სასმელი წყალი დღესაც არ აღწევს ზედა სართულამდე, წვიმიან ამინდში თითქმის ყველგან ჩამოდიოდა წყალი. ზამთარში არ თბება საწარმოო კორპუსი.

ფაბრიკის საქმიანობაში ეს ჩავარდნები იმის შედეგია, რომ მისი პირველადი პარტიული ორგანიზაცია სუსტად იყენებდა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიის წესდებით მინიჭებულ კონტროლის უფლებებს, პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე მიღებულ დადგენილებებს ზერელედ ეკიდებოდნენ, არ აკონტროლდნენ კომუნისტებისათვის მიცემულ დავალებებს.

სათანადო დონეზე არ იდგა მუშა-მოსამსახურეთა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, აგიტატორებისა და პოლიტინფორმატორების ერთი ნაწილი შემთხვევიდან შემთხვევამდე გამოდიოდა მუშა-მოსამსახურეთა წინაშე საუბრებითა და ინფორმაციებით. წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა სხვა მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობაც. ეს მით უფრო დამაფიქრებელია, რომ სულ წყალწყლებულები არა ვართ. გვყავს მოწინავე პროპაგანდისტები — თვითონ დირექტორი თენგიზ მაისურაძე, ინჟინერი იური მანუკოვი... მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკზე. სასურველია, რომ, როდესაც ამა თუ იმ ამხანაგს აწინაურებენ, მისი მუშაობის ეს მხარეც გაითვალისწინონ და, თუ სათანადო მონაცემები არა აქვთ, არც ღირსეულ კანდიდატურად მიიჩნიონ.

წლის დასაწყისშივე შევიმუშავეთ ღონისძიებანი ჩამორჩენის დასაძლევად. ავამოქმედეთ რეზერვები, ბევრი ვიფიქრეთ პროდუქციის ხარისხზე. და აი, ჩვენთან სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა წუნისმკეთებლებს და იმათაც, ვინც უყაირათოდ იყენებდა მატერიალურ რესურსებს.

სახელმწიფო დისციპლინის დაცვა გავიხადეთ უპირველეს საზრუნავად. შარშანდელთან შედარებით მდგომარეობა სწორდება, მაგრამ ჯერ კიდევ არიან დამგვიანებლები, გამცდენები, ალკოჰოლის მოყვარულნი, და ასეთ მუშაკებს სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები კონტროლისა და რეაგირების გარეშე აღარ ტოვებენ.

კვლავ მოუგვარებელია ტრანსპორტის მოძრაობა. მოგეხსენებათ, ჩვენთან მეორე ცალი ლამის პირველის ნახევარია. მთავრდება. მუშები ბეტონიდან მისულს ვერ ახერებენ, ავტობუსი ვიანან მიატოვან სამუშაოზე. და ადიან წავიდნენ ხოლმე ფეიერობლი, უახლოეს დროში მოვაგვაროთ ეს საკითხიც.

[illegible] გავიდა ბევრ შემთხვევაში, [illegible] ადგილზე [illegible] ბევრ [illegible] ბევრ [illegible] ბევრ

ეროვნული
ფაქტები • მოვლენები

გონიერებამ უნდა გაიმარჯვოს

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 41-ე სესიის უფროსდღეის ცენტრში ტელევიზიით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა, გამალებული ბირთვული შეიარაღების ალაგმვის საკითხებში საბჭოთა კავშირის კონსტრუქციული პოზიცია, რომელიც კვლავ გამოვლინდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის უმაღლესი დონის შეხვედრაზე.

გამოსვლაურეგბები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რეიკიავიკზე

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მიესალმება და მხარს უჭერს ისლანდიაში გამართულ შეხვედრაზე საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ ყოვლისმომცველ წინადადებას ბირთვული განიარაღების თაობაზე, განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა პეტერ ფლორინმა. ეს წინადადებანი სახავენ კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლის გზას. სამწუხაროდ, ამერიკის მხარე მზად არ აღმოჩნდა შესაბამისი შეთანხმებებისათვის. ამიტომ ახლა მით უფრო საჭიროა მიგაღწიოთ გონიერებითა და რეალიზმით დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის ინტერესებთან ნაკარნახევი ამ ინიციატივის განხორციელებას.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებამ ცხადყო, რომ პოლიტიკურმა ნებამ, მსოფლიოს წინაშე პასუხისმგებლობამ და სიბრძნემ, რომლებიც გამოავლინა საბჭოთა მხარემ, შესაძლებელი გახადა მიღწეულიყო შეთანხმებანი თანამედროვეობის მეტი წილი პრობლემების თაობაზე, განაცხადა ავღანეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მუჰამედ ფარიგ ზაირიფმა. მაგრამ რეიკიავიკის შეხვედრამ ცხადყო, თუ რამდენად არის დამოკიდებული ამერიკა შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ამ ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსზე. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო გაერთიანება გამოთქვამს იმედს, რომ ამერიკის მხარე გაიზიარებს ბირთვული საუკუნის რეალიებს და აღიარებს, რომ უაღრესად საჭიროა ყველა ღონისძიების განხორციელება ბირთვული მოსპობის საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ისლანდიაში შეხვედრა დიდი პოლიტიკური მოვლენაა, რომელმაც დაადასტურა სსრ კავშირის კონსტრუქციული პოზიცია და მისი მზადყოფნა, დადოს შორსგამიზნული შეთანხმებები ომის საფრთხის ალაგმვისათვის, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველ კომიტეტში (პოლიტიკური და უშიშროების საკითხები, მათ შორის განიარაღების საკითხი) გამოსვლისას ჩეხოსლოვაკიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იაროსლავ ცესარმა. ამავე დროს მთელი საერთაშორისო გაერთიანებაი იმედგაცრუება და წუხილი გამოიწვია იმან, რომ ამერიკის მხარემ ხელიდან გაუშვა იმ უდიდესი გადაწყვეტილებების მიღების უნიკალური შესაძლებლობა, რომლებიც არსებითად დაიწყებდნენ კაცობრიობის ისტორიის ახალ ეტაპს. მორიგებათა მიღება ჩაიფუშა იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი განაცხადა გადაესინჯა პოზიცია „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის მიმართ. ამ პოზიციას არა აქვს გამართლება და უნდა შეიცვალოს მთელი კაცობრიობის, მათ შორის თვით შეერთებული შტატების ინტერესებისათვის.

გენერალური ასამბლეის პირველ კომიტეტში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლის ფან გოსიანის აზრით, საკორო ნამდვილად სერიოზულად გაგრძელდეს მოლაპარაკება საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და დაძაბულობის შენელებისათვის გამიზნული არსებითი შეთანხმებების მისაღწევად. ჩინეთის დელეგატმა აღნიშნა აგრეთვე, რომ კოსმოსში გამალებული შეიარაღების გაგრძელების თავიდან აცილება დროის მოთხოვნა გახდა.

საერთაშორისო გაერთიანებისათვის ყველაზე შთამაგონებელია ის, რომ დიდი სახელმწიფოები ავლენენ უნარს ერთად იმოქმედონ ბირთვული საფრთხის შენელების საქმეში, განაცხადა ახალი ზელანდიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დ. მაკდუელმა. იგი მიესალმა ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივ საბჭოთა მორატორიუმს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა სასწრაფოდ დაიღოს ხელშეკრულება ბირთვული იარაღის ყველა გამოცდის საყოველთაო შეწყვეტის შესახებ.

◆ ნიკარაგუა

ამერიკელ დაქირავებულს გაასამართლებენ

მანაგუა. ნიკარაგუის ხელისუფლებამ მიიღეს გადაწყვეტილება სასამართლოს გადასცენ ამერიკელი სამხედრო მრჩეველი ი. ბაზენფუსი, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დავალებით მონაწილეობდა ნიკარაგუის ტერიტორიაზე მოკალათებული ამერიკის შეერთებული შტატების კონტრრევოლუციური შტატების კონტრრევოლუციური დაქირავებული ბანდებისათვის იარაღის მიწოდებაში. ს-123 სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომლითაც სამხედრო ტვირთი გადაჰქონდათ კონტრრევოლუციონერთა ბანაკებში, 5 ოქტომბერს ჩამოაგდეს რესპუბლიკის საჰაერო თავდაცვის ძალებმა. ამერიკელთა ეკიპაჟის ორი სხვა წევრი დაიღუპა.

როგორც ნიკარაგუის იუსტიციის სამინისტროს აქ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ჰაზენფუსი 20 ოქტომბერს წარდგება შანაგუის ანტისომოსური სახალხო ტრიბუნალის წინაშე. ნიკარაგუის მთავრობა გადასცემს სასამართლოს მრავალ მასალას, რომლებიც არა მარტო ამტკიცებენ ამერიკელი მრჩეველის მონაწილეობას ნიკარაგუის საწინააღმდეგო მტრულ აქციაში, არამედ მთლიანად ამხილებენ ვაშინგტონის დანაშაულებრივ აგრესიას რესპუბლიკის ხალხის წინააღმდეგ. ჰაზენფუსი უკანასკნელი ოპერაციის ჩაფუშვამდე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დავალებით ცხრაჯერ მონაწილეობდა კონტრრევოლუციონერების იარაღითა და საბრძოლო აღჭურვილობით მომარაგების მეკობრულ რეიდებში. გამოძიებისას მან აღიარა, რომ იგი მიმდინარე წლის ივნისში დაიქირავა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტმა და მაიამიდან სალვადორში გადაიყვანეს, სადაც მსახურობდა „ილოპანგოს“ სამხედრო-საჰაერო ბაზაში. სალვადორიდან, აგრეთვე ჰონდურასის სამხედრო-საჰაერო ძალების აგუაკატეს ბაზიდან ნიკარაგუისაკენ იღებდნენ კურსს დამრღვევი-თვითმფრინავები, რომლებსაც სომოსელთა ბანდებისათვის გადაჰქონდათ ტვირთი.

◆ თურქეთი

შეიქმნა ახალი მინისტრთა კაბინეტი

ანკარა. აქ გამოაცხადეს, რომ შეიქმნა თურქეთის მთავრობა მამულის პარტიის ლიდერის თურგუთ ოზალის მეთაურობით. კაბინეტში შეუყვანილია სამი ახალი მინისტრი, მათ შორის იუსტიციის მინისტრი მაჰმუდ ოლთან სუნლურლუ.

როგორც პოლიტიკურ წრეებში მიიჩნიათ, კაბინეტის რეორგანიზაცია გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობაში დაქვეითდა მმართველი მამულის პარტიის პოპულარობა ეკონომიკის სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელებაში სერიოზული მარცხის გამო. ამას წინათ გამართულ პარლამენტის ნაწილობრივ არჩევნებში ამ პარტიისთვის მიცემული ხმების რიცხვი შესამჩნევად შემცირდა 1983 წლის საყოველთაო არჩევნებთან შედარებით. განვლილი სამი წლის მანძილზე ქვეყანაში მკვეთრად გაძვირდა ფართო მოხმარების საქონელი. კვლავ სწრაფი იყო ინფლაციის ტემპი, იზრდებოდა უმუშევრობა და კლებულობდა მშრომელი მასების რეალური ხელფასი.

ნაპოვნი 34 საუკუნისაა

აი, უკვე თითქმის ორი წელია თურქეთის სანაპიროზე, ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე კვლევითს მუშაობას ეწევა ამერიკა-თურქეთის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც ტეხასის წყალქვეშა არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი ჯორჯ ბასი ხელმძღვანელობს. კვლევის ობიექტია უძველესი სავაჭრო გემი, რომელიც 34 საუკუნის წინათ 45 მეტრ სიღრმეზე ჩაძირულა თურქეთის სანაპირო ქალაქ კასიდან ერთ კილომეტრზე. პირველ ჩასვლას შემარიტად სენსაციური შედეგი მოჰყვა. აკვალანგისტებმა ძოვეს რამდენიმე კვარცის მძივი, დამტვრეული ისრის ბუნიკები და დოქების ნამსხვრევები. შემდგომი ჩასვლის შემდეგ ამოიღეს ოქროს სამკაული, ბრინჯაოსა და კალის ნაკეთობანი.

ჯ. ბასის აზრით, ამ ნაპოვნის ბოლომდე შეფასება დროის საქმეა, მაგრამ უკვე ახლა ყოველივე ეს უდიდეს ინფორმაციას იძლევა იმ ხალხების ცხოვრების შესახებ, რომლებიც თითქმის სამ-ნახევარი ათასი წლის წინათ სახლობდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთში. მაგალითად, დღემდე უცნობი იყო, რომ მინის დამზადების საიდუმლოება უკვე იმ შორეულ ხანაშიც სცოდნიათ. როგორც ჩანს, გულმოდგინე კვლევის შემდეგ შესაძლებელი გახდება წარმოვიდგინოთ ვაჭრობის საკმაოდ ნათელი სურათი ტროას ომისა და ფარაონ ტუტანხამონის მმართველობის ხანაში. გარდა ამისა, გემის შესწავლა მეცნიერებს გარკვეულ წარმოდგენას მისცემს იმდროინდელ გემთმშენებლობაზე.



სურათებზე: არქეოლოგიური ექსპედიციის აკვალანგისტი ისტორიული ნაპოვნის ადგილზე მუშაობისას; ჯორჯ ბასი სწავლობს გემის ტრიუმში ნაპოვნ თასს.

საკდესის ფოტოქრონიკა.

საფრანგეთის ჯილდო—მაია პლისეცკაიას

პარიზი. ელისეს სასახლეში გაიმართა საბჭოთა ბალერინის მ. მ. პლისეცკაიასთვის საპატიო ლეგიონის ორდენის გადაცემის საზეიმო ცერემონია. მეზუთე რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო მას საფრანგეთის პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა გადასცა.

„ეს ჯილდო იმის სიმბოლოა, რომ ჩვენ ქედს ვიხრით თქვენი ნიჭის წინაშე, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე ბალეტის ჩამოყალიბებაში“, — თქვა მან. აღნიშნა რა მ. მ. პლისეცკაიას დამსახურება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის კულტურული თანამშრომლობის განმტკიცებაში და მისი დიდი წვლილი მსოფლიო საბალეტო ხელოვნებაში, ფ. მიტერანმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ბალერინას ფრანგული საბალეტო სკოლის განვითარების საქმეში დახმარებისათვის.

საბჭოთა ფილმების ფესტივალი ვაშინგტონში

ვაშინგტონი. ამერიკის დედაქალაქის მცხოვრებლებმა ამ კვირაში ორმაგი საჩუქარი მიიღეს: კინოფილმით „ჩვენი ბავშვობის ტანგო“ სმიტსონის ინსტიტუტში დაიწყო საბჭოთა მხატვრული ფილმების ფესტივალი „საბჭოთა რესპუბლიკების კინემატოგრაფი“, „რენუიკის“ გალერეაში კი გაიხსნა სურათების გამოფენა „რუსეთი. მიწა. ადამიანები. 1850-1910 წლების რუსული ფერწერა“.

ვაშინგტონში გამართულ „ჩვენი ბავშვობის ტანგოს“ პრემიერაზე კინომაყურებლებს მიესალმნენ ფილმის შემქმნელი ალბერტ მკრტჩიანი და სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ელემ კლიმოვი. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მან თქვა, რომ სასიამოვნოდ გააოცა იმ უდიდესმა ინტერესმა, რომელსაც იწვევს ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა კინემატოგრაფი.

„ჩვენი ბავშვობის ტანგოს“ გარდა, ამერიკის დედაქალაქის მცხოვრებლები ნახავენ კიდევ ექვს საბჭოთა კინოფილმს — „მოდი და ნახე“, „სურამის ციხის ლეგენდა“, „რძლების ბუნტი“, „შემოწმება ზეგზეზე“, „კორიდა“, „თეთრი ჯიქის შთამომავალი“.

საბჭოთა ფილმების ფესტივალი ამ შემოდგომაზე ამერიკის შეერთებული შტატების 20 ქალაქში გაიმართება.

„რენუიკის“ გალერეაში გამოფენაზე „რუსეთი. მიწა. ადამიანები. 1850-1910 წლების რუსული ფერწერა“ წარმოდგენილია ტრეტიაკოვის გალერეისა და ლენინგრადის რუსული მუზეუმის კოლექციების 62 სურათი. ვაშინგტონის შემდეგ, სადაც გამოფენა იანვრის დამდეგამდე გაგრძელდება, მას გაეცნობიან ჩიკაგოსა და ბოსტონის მცხოვრებლები.

საბჭოთა ფილმების ფესტივალი

ბუენოს აირესი. — თვალზომთ უმაღლესი ლიგის გუნდების სატელევიზიო ჩემპიონატს 26-ე ტურის 14 მატჩის შედეგებს: მოსკოვის „სპარტაკი“-ნარკოვის „მეტალისტი“ — 0:0, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“-ვილნიუსის „ჟალგირისი“ — 2:2, მინსკის „დინამო“-თბილისის „დინამო“ — 4:0, კიევის „დინამო“-ქუთაისის „ტორპედო“ — 5:0.

გაიმართა აგრეთვე პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების 42-ე ტურის მატჩები. გაგაცნობთ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა მატჩების შედეგებს: დუშანბეს „პამირი“-ლენინაკანის „გურია“ — 4:2, რიგის „დაუგავა“-ვოლგოგრადის „როტორი“ — 1:1, კლაიპედის „ატლანტასი“-ცსკა — 0:1, მოსკოვის „ლოკომოტივი“-ბაპოროიეს „მეტალურგი“ — 4:1, კიშინიოვის „ნისტრუ“-ლვოვის ასკ „კარპატი“ — 0:2. დღეისათვის ლიდერთა ჯგუფში მყოფი გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: „დაუგავა“ — 55 ქულა (39 მატჩიდან), „გურია“ — 51 (40-დან), ცსკა — 50 (39-დან), „პამირი“ — 48 (40-დან), „როტორი“ და „ლოკომოტივი“ — 47-47 (40-40-დან), ასკ „კარპატი“ — 46 (40-დან). ჩემპიონატის მომდევნო ორ მატჩს „გურია“ ლანჩხუთში გამართავს (23 ოქტომბერს „ატლანტასთან“, 26 ოქტომბერს კი „დაუგავასთან“). რაც შეეხება ცსკას, იგი „დაუგავასთან“ ითამაშებს სტუმრად (20 ოქტომბერს),23 ოქტომბერს კი მიიღებს კრასნოდარის „ყუბანს“.**

რიგაში. თუ როგორ განაწილდა ადგილები წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატზე, ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. გასამართავი იყო კიდევ სამი კალენდარული მატჩი და ახლა ამ შეხვედრათა შედეგებსაც გთავაზობთ: „მოსკოვის „ფილი“-კიევის „ავიატორი“ — 16:9 და 10:19, ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი-ქუთაისის „მშენებელი“ — 13:13. ამ შედეგებს გათამაშების ცხრილში კორექტივები არ შეუტანია.

ჩოგბურთი. ტაშკენტში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის მეოთხედფინალში თბილისელმა ლეილა მესხმა დაამარცხა ბიკოვა (6:2, 6:1) და ნახევარფინალში გავიდა.

ბაკურიანი. ფრუნზე შ ი გრძელდება. სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა შორის. 6 ტურის შემდეგ 5 ქულით ლიდერობს ნინა იოსელიანი. ქეთევან არაბიძისა და ზოია ლელჩუკს 4,5-4,5 ქულა აქვთ, ნინო გურიელსა და ირინე ლევიტინას — 4-4, ლიდია სემონოვას — 3,5 (1 გადადებული).

მძლეოსნობა. თბილისის ღია ჩემპიონატში მასპინძელთა გარდა იასპარეზეს როსტოველმა და ტალინელმა სპორტსმენებმა. გუნდურ ჩათვლაში თბილისის დინამოელი მძლეოსნები მეორე ადგილზე გამოვიდნენ, როსტოველები — პირველზე, ტალინელები — მესამეზე. გადაწყდა, რომ ეს შეჯიბრება ტრადიციული გახდეს. მომავალში აქ სსრ კავშირის სხვა ქალაქებისა და უცხოეთის მძლეოსნებიც იასპარეზებენ.

თავისუფალი ჭიდაობა. პოლონეთის ქალაქ ლოძში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა ქვეყნის ღირსებას იცავდნენ ჩვენი რესპუბლიკის ათლეტები. საქართველოს სპორტსმენთაგან **ზაზა თურმანიძემ** (მძიმე წონა) და **ავთანდილ გოგოლაშვილმა** (82 კგ) ოქროს მედლები მოიპოვეს, **მამუკა რაზმაძემ** (90 კგ) — ვერცხლისა, **ზურაბ ტატუაშვილმა** (67 კგ) — ბრინჯაოს მედალი.

სპორტული ტანვარჯიში. თბილისში გამართულ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სპორტსმენთა საკავშირო პირადი-გუნდურ ჩემპიონატზე თბილისელმა **ვლადიმერ გოგოლაძემ** ორი ოქროს მედალი მოიპოვა. იგი უძლიერესი იყო მრავალჯერადელთა პირად შეჯიბრებაში და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ნაკრების წევრებთან ერთად გუნდურ ასპარეზობაშიც. პირად შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდა მისი თანაგუნდელი ე. გეორგიანი, მესამეზე — მოსკოვის სამხედრო ოლქის წარმომადგენელი ა. პოგორელოვი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ჩემპიონი განცალკევებით დგას

მარტივი ჭეშმარიტებაა — მსოფლიო პირველობაზე იოლი მატჩები არ არსებობს. ისიც ცხადია, რომ პრეტენდენტს ჩემპიონთან შედარებით აშკარა უპირატესობანი აქვს. მან კარგა ხნით ადრე იცის, ვის წინააღმდეგ უნდა მოემზადოს, ჩემპიონი კი მეტოქის სახელს მოგვიანებით იგებს. ამას დაუმატოთ პრეტენდენტის საუკეთესო სათამაშო პრაქტიკა: მან ხომ შესარჩევ შეჯიბრებათა მთელი ციკლი გაიარა, თავის ძალებში დარწმუნდა და დიდი „ინერციაც“ აიღო.

რა თქმა უნდა, ეარც „შემთხვევითი პრეტენდენტები“ არსებობენ. რა ძალა და შეუპოვრობა უნდა ჰქონდეს მოჭადრაკეს, რომ ამდენი ჯებირი გადალახოს! ზონალური შეჯიბრება, საზონთაშორისო ტურნირი, პრეტენდენტთა ასპარეზობა მისდევს ერთმანეთს. ელენე ახმილოვსკაიამ ამდენ განსაცდელს გაუძლო, თუ გნებავთ, საჩემპიონო ასაკსაც მიაღწია (29 წლისაა, ჩვენ ცალკეულ გამონაკლისებს არ ვგულისხმობთ), უდიდესი გამოცდილება მიიღო, საუკეთესო სპეციალისტებთან კონტაქტი დამყარა...

ერთი სიტყვით, ჩიბურდანიძე-ახმილოვსკაიას ორთაბრძოლა ისეთი იყო, მსოფლიო პირველობას რომ ეკადრებოდა. მეტოქეებმა თამაშის მაღალი კლასი აჩვენეს: საუკეთესო სადებიუტო მომზადება, მანევრების დიდებულად წარმართვის უნარი, დახვეწილი ტექნიკა ენდშპილში. ცალკეულ შეცდომებს ნუ ჩავუკირკტებთ, ისინი იყო და იქნება, სანამ ჭადრაკს ადამიანები თამაშობენ.

ამოდენა მატჩის ერთ დონეზე წარმართვა შეუძლებელია. კასპაროვი რომ კასპაროვია, ახლახან დამთავრებულ ორთაბრძოლაში მანაც ორ კრიზისულ მომენტს გაუძლო. ერთს ლონდონში და ერთსაც ლენინგრადში. მაია ჩიბურდანიძეს მეტოქესთან შედარებით აშკარა უპირატესობა ჰქონდა: უფრო მაღალი კლასი, უკეთესი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება. რა თქმა უნდა, დროგამოშვებით ისიც იღებდა უსიამოვნო პოზიციებს, მაგრამ „თანამედროვე ჭადრაკის გიგანტს“ (როგორც მაიას ბულგარეთში უწოდეს) შეეძლო კიდეც მათთვის თავის დაღწევა. მაიამ ამ მატჩში ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ახლანდელ ქალთა ჭადრაკში განცალკევებით დგას. ბოლო ორი პრეტენდენტი მან სრულიად დამაჯერებლად მოიგერია. ზოგჯერ პრესაში წაიკითხავთ, რომ ელენე ახმილოვსკაიამ ამჯერად მთელი თავისი ძალა არ გამოავლინა. ჩვენ ასე ვიტყოდით: ვერ გამოავლინა, რადგან მეტად მტკიცედ და მოჭნილად მოთამაშე ჩემპიონმა არ მისცა ამის საშუალება.

პარტიებს თუ გადავავლებთ თვალს, ძნელია ელენე ახმილოვსკაიას რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნები წავუყენოთ. მან გაიკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო. პრეტენდენტის სადებიუტო მომზადება კარგი იყო. იგი წინასწარაც იცნობდა ჩემპიონის ძლიერ მხარეებსა და მიღრეკილებებს, მასთან ხომ ადრე მთელი მატჩი ჰქონდა ნათამაშევი. ბიჭვინთელი დიდოსტატი, რომელიც ღრმად გრძნობს პოზიციის თავისებურებებს, ცდილობდა ბრძოლისათვის ისეთი ხასიათი მიეცა, მისთვის რომ არის ხელსაყრელი. ცდილობდა, მაგრამ მეტწილად ვერ ახერხებდა. მთლიანად კი ახმილოვსკაიას თამაში კეთილი სიტყვებით უნდა მოვიხსენიოთ.

ახლა კი ჩვენც მივულოცოთ მაია ჩიბურდანიძეს, თანამედროვეობის ყველაზე ძლიერ მოჭადრაკე ქალს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონობას 1978 წლიდან ინარჩუნებს. უნდა ვიფიქროთ, რომ 25 წლის ჩემპიონს ჯერაც არ მიუღწევია თავისი საუკეთესო ზენიტისათვის. ეს დრო მოგვიანებით დადგება — მაიას ახალ-ახალი წარმატებები ელის. იგი აშკარად დაადგა სახელგანთქმული ნონა გაფრინდაშვილის კვალს, რომელიც მთელი 16 წლის მანძილზე იყო მსოფლიო ჩემპიონი. მაგრამ რაც მაიას ასე აძლევს ხელს, სულაც არ შედის იმ ახალგაზრდა პრეტენდენტთა ჯგუფის გეგმებში, რომლებიც ძალიან კი მსოფლიო ჩემპიონის ოქროს გვირგვინს ხედავენ. დროთა განმავლობაში ამ პრეტენდენტთა რიცხვი შემცირდება. დარჩება ერთი, ჩვენ ვფიქრობთ, იგი ამჯერად მაიაზე უმცროსი იქნება. შესაძლოა, ამაზე ლაპარაკი ცოტა ადრეა.. ახლა ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს, რომელსაც ტაში უკრავს საჭადრაკო სამყარო, ბოლოს და ბოლოს ეძლევა მცირედენი დასვენების დრო. ეს დასვენება კი მან სავსებით დიმისახურა.

გ. გამრეკელი.

● ●

გუშინ გაიმართა ამ მატჩის მე-14 პარტია, რომელიც მე-20 სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, მატჩის საბოლოო ანგარიშია 8,5:5,5 მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

ქიურის ხელმძღვანელობდა ქართველი კინორეჟისორი

თავიდან რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლანა ღოღობერიძე მანჰაიმის (გფრ) ტრადიციულ საერთაშორისო კინოფესტივალზე ქიურის წევრად იყო მიწვეული. როდესაც შეიკრიბა ქიური (მასში კი შედიოდნენ ცნობილი ამერიკელი, კანადელი, ფრანგი, ბერძენი, დასავლეთგერმანელი, იუგოსლავი კინორეჟისორები), ლანა ღოღობერიძე ერთხმად აირჩიეს თავმჯდომარედ. გამოირკვა, რომ საზღვარგარეთელი კოლეგები ზედმიწევნით იცნობენ ქართველი კინორეჟისორის შემოქმედებას. დიდად აფასებენ მას და, ამდენად, ქიურის თავმჯდომარეობაც სავსებით კანონზომიერი იყო.

ამ დღეებში ლანა ღოღობერიძე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან დაბრუნდა.

— მანჰაიმის კინოფესტივალი 7-დან 12 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა, — უთხრა ლ. ღოღობერიძემ **„კომუნისტს“** კორესპონდენტს, — ფესტივალი ახალგაზრდული იყო, მონაწილეობდნენ კინორეჟისორები, რომლებსაც მხოლოდ ერთი ან ორი ფილმი აქვთ გადაღებული. ამ ფესტივალზე სხვადასხვა დროს საპატიო პრიზები დაამსახურეს ქართველი კინორეჟისორების ალექსანდრე რეხვიაშვილისა და სოსო ჩხაიძის ნამუშევრებმა.

წელს მანჰაიმში ყველა მოწინავე კინემატოგრაფისტი იყო წარმოდგენილი. აღსანიშნავია ფესტივალის მაღალი დონე, იქ საერთოდ არ იყო ნაჩვენები ეგრეთ წოდებული „კომერციული ფილმები“. კინონაწარმოებები გამოირჩოდნენ მძაფრი აქტუალური თემატიკით, გამოხატვის საშუალებებით. მაგალითისათვის შემიძლია დავასახელო ამერიკული დოკუმენტური ფილმი (ფესტივალში ორივე ქანრი მონაწილეობს — მხატვრულიცა და დოკუმენტურიც) „შე მიყვარს დოლარი“, რომელმაც მეოსმე პრემია დაიმსახურა. ფილმში ძალზე საინტერესო ფორმით არის გადმოცემული, თუ რა გავლენას ახდენს ცალკეულ ადამიანებზე დოლარი.

ანდა, ავიღოთ ავსტრალიური ფილმი „ჩილეში“, რომელმაც მეორე პრემია მიიღო. მისი რეჟისორი დიდი საფრთხის მიუხედავად იღებდა თურმე ყოველ კადრს და გადმოგვცა საშინელი ტრაგიზმი, პინოჩეტის რეჟიმის გამო რომ მეფობს ჩილეში.

ერთი სიტყვით, აქტუალური იყო ფესტივალის თემატიკა. იგი კიდევ უფრო გაამძაფრა საბჭოთა ფილმმა — ეს გახლავთ კინოსტუდია „ლენფილმში“ გადაღებული მხატვრული სურათი „დაღუპული ადამიანის წერილები“, რომელიც რეჟისორ კ. ლაშინსკის ეკუთვნის და ფესტივალის მთავარი პრიზით აღინიშნა. ფილმმა მაყურებლისა და ქიურის საერთო სიმპათიები მოიპოვა, ადგილობრივმა პრესამ მას „სიკვდილის სიგა“ უწოდა. ფილმის ობიექტია ჩვენი პლანეტა ატომური კატასტროფის შემდეგ და დიდი სიმძაფრით გადმოგვცემს იმ საშინელებას, კაცობრიობას რომ ყოველ წუთს ელოდება.

ჩემთვის, როგორც ქიურის თავმჯდომარისათვის, სასიამოვნო იყო, რომ კიდევ ერთმა საბჭოთა კინოსურათმა — ა. მიმინის „ნეტუნის დღესასწაულმა“ მიიღო ფესტივალის ერთ-ერთი პრიზი. ფილმი მოკლემეტრაჟიანია და სოციალურ კომედიას განეკუთვნება.

მე უკვე მოგახსენეთ, რომ მანჰაიმის კინოფესტივალზე სხვადასხვა დროს ქართული კინოც მონაწილეობდა. ფესტივალის დირექტორმა მითხრა, განზრახული გვაქვს გაისად ნანა ჯორჯაძის „რობინზონადა“ და გოდერძი ჩოხელის „ადამიანთა სევდა“ წარმოვადგინოთო. ეს, უეჭველად, ჩვენი ახალგაზრდა კინემატოგრაფისტების დიდი დაფასება იქნება.

...ლანა ღოღობერიძისგან ფესტივალის დღეებში ხშირად იღებდნენ ინტერვიუს პრესის, ტელევიზიის წარმომადგენლები. ქართველი კინორეჟისორი მათ მოუთხრობდა ჩვენი ეროვნული კინოს წარსულსა და დღევანდელობაზე, სიახლეებზე, მიღწევებზე. დეკემბერში ლ. ღოღობერიძე თავისი ფილმით „დღეს ღამე უთენებია“ მიწვეულია კუბაში ლათინური ამერიკის ქვეყნების კინოფესტივალზე. მანამდე კი — ნოემბერში ეკრანებზე გამოვა რეჟისორის ახალი ნამუშევარი „ორომტრიალი“ — ფილმი ომზე, თუ როგორ სჭირდებთ ადამიანებს ერთმანეთი.



„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

იალაღებზე.

ვ. გენგიურის ფოტო.

შალის წარმოების ახალი ტექნიკა

საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატამ და მსუბუქი მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ მოაწყვეს სამრეწველო კატალოგების გამოფენა თემაზე: „ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია შალის წარმოებაში“.

გამოფენაზე წარმოდგენილია გამომყვანი წარმოების მანქანადანადგარები, სამღებრო აპარატები, საქსოვი დაზგები, სართავი, საგრეხი და სახვევი მანქანები, საჩეჩი აპარატები და სხვა.

გამოფენამ დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ხელისმომწერთა საყურადღებოდ!

გრძელდება ხელმოწერა საბჭოთა და საზღვარგარეთის ეურნალ-გაზეთებზე 1987 წლისათვის. ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ სააგენტოებში, ხელმოწერის მიმღებ პუნქტებში, კავშირგაბმულობის განყოფილებებში, ფოსტამტში, პრესის საზოგადოებრივ გამავცელებლებთან სამუშაოსა და სწავლის ადგილებზე.

შეგახსენებთ, რომ ხელმოწერა 1987 წლისათვის (იანვრიდან ჩაბარებით) შეწყდება 31 ოქტომბერს.

1 ნოემბრიდან ეურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა მიიღება 1987 წლის თებერვლიდან და მომდევნო თვეებიდან ჩაბარებით.

„სოიუზპეჩატის“ რაიკომური სამმართველო.

ᲗᲝᲚᲥᲝᲕᲘ

19 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — რიტმული ტანვარჯიში. 10.10 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 10.20 — სპორტლოტო. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — მუსიკალური კიოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — ჯანმრთელობა. 15.40 — ფოლკლორის დღესასწაული. 16.30 — მცენარეთა სამყარო. 17.20 — მხატვრული ფილმი „ალადინის ჯადოსნური ლამპარი“. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მხატვრული ფილმი „დანაშაული“. მე-2 ფილმი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სამემსრულებლო ხელოვნების ოსტატები. ე. გილელსი. 24.00 — საფეხბურთო მიმოხილვა. 0.30 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — მხატვრული ფილმი. 10.40 — ბალეტის მსახიობთა კონცერტი. 11.10 — რუსული მეტყველება. 11.40 — მოლდავეთის ტელევიზიის პროგრამა. 13.10 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 13.45 — მულტფილმი. 13.55 — ა. გლაზუნოვი. კონცერტი ვიოლინისა და ორკესტრისათვის და ბალეტ „რაიმონდას“ მუსიკის ფრაგმენტები. 14.45 — პოეზია. 16.15 — საექტაკლი. 17.25 — რეკლამა. 17.30 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 18.00 — ფეხბურთი. მოსკოვის „დინამო“ — „შახტიორი“. 19.45 — ჩვენი სახლი. 20.30 — მუსიკალური მოზაიკა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო